



ცხრანახევარი საუკუნე გვაძლევს დავით აღმაშენებლის ხანას, ხანას ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომისა, რომლის საფუძველზე წარმოსდგა დღევანდელი დღე. ქართველი ხალხი თავის ხსოვნაში სათუთად ინახავს და კეთილს მიაგებს ქვეყნის წინსვლისთვის მებრძოლ მოღვაწეებს, რომელთა შორის განსაკუთრებულად საპატიო ადგილი უკავია წმიდა დავით აღმაშენებელს.

# დიდი პოლიტიკოსი, კავკასიის გამაერთიანებელი



იმისთანა წმინდა სადმეში, ბოგობივ ბუქდუბი სიფყაა, ფუილით და ჭბრბით ბუბთის გაფანა ყუელა უჯადბისბაზუ უხაბაგლუსია.

## საქართველო

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ორშაბათი, 6 თებერვალი. 2023 წ. №14 (9546) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

### დავით აღმაშენებლის დღე

## მასვილი მასიისა

26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) საქართველოს დიდი პოლიტიკური მოღვაწის წმიდა მეფე დავით IV აღმაშენებლის (1073-1125 წწ.) მოხსენიების დღეა. XII საუკუნე ესაა პერიოდი, როცა საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, გამოთლიანდა და უდიდეს წარმატებას მიაღწია. ეს პერიოდი „ოქროს ხანადაა“ მიჩნეული. საქართველოს სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა – ნიკოფსიდან დარუბანამდე და ოსეთიდან არეგაწამდე. დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივი ღონისძიებების (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, საეკლესიო, სამხედრო, სასამართლო და სხვ.) შედეგად საქართველო დაწინაურდა და ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა;



წოდება „აღმაშენებელი“ (ქართველი მეფეები სხვადასხვა წოდება-ეპითეტებით არიან ცნობილინი: დიდი, თავდადებული, ბრწყინვალე, კისკასი, კეკელა, რეგვანი, მცირე, ავი და სხვა), საქართველოს ისტორიაში ერთადერთს – დავით IV-ს ხვდა. „...მეფესა დავითს ამისთვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულად ოხერი; ამან განავსო და აღაშენა, რომელ არღარა ეტეოდა ამით, რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სნეულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მამულები“... (ბაგონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსი საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 163).

(„ძლევაი საკვირველი“) მიაღწია დიდგორთან – დაამარცხა მუსლიმთა ძლიერი კოალიციური ლაშქარი. საქართველოს ძველი დედაქალაქისა და სხვა ქალაქების დამორჩილება ფაქტობრივად დიდგორის ბრძოლის გაგრძელება იყო: „მეორესა წელსა (1122 წ. – რ. მ.) აიღო მეფემან ქალაქი გფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებული სპარსთა, და დაუკვიდრა შეილთა თჳსთა საჭურჭლედ და სახლად თჳსად საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება, თბ., 2008, გვ. 326). დიდგორის ბრძოლის შემდეგ თითქმის მთელი სამხრეთ კავკასიის მიწები, საერთაშორისო სავაჭრო გზები და ქალაქები საქართველოს საზღვრებში მოექცა. ხელისუფლება თავის რელიგიურ პოლიტიკაში ატარებდა სარწმუნოებათა თავისუფლების – რჯულთ-

შემწყნარებლობის პრინციპს, რაც იმ პერიოდისათვის, მეტად უჩვეულო მოვლენა იყო. დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“.

დავით აღმაშენებლის („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანთა და შაპანთა“) მიერ გატარებულმა მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები და საქართველო საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ სახელმწიფოდ აქცია.

...და აჰა, მხარულა 950 წელი „მსიის მასვილის“, წიდა დავით IV აღმაშენებლის დაგადვადან... საქართველოს მცნოეფათა ეროვნული აკადემია, იმ. ზაფასიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი სვალ, 7 თაგვრალს მართავს დავით აღმაშენებლის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციას!

იმაღია, ქართველ მცნოეფ-ისტორიკოსთა ეს თავყრილოზა დიდ სტიმულს მისცემს ჩვენს ხალი-სუფლუაგას, ჩვენს მართლგადიღვადელ სამოციქულო ეკლესიას, ქართველ საზოგადოებას, 2023 წლის განმავლობაში ფართოდ აღნიშნონ დიდი დავით აღმაშენებლის საიუბილეო თარიღი! საქართველოსა და მთელი კავკასიის ჰირველი გამაერთიანებლის სახელს მეტი ღირსაგითა და ჰატივით უნდა მოვყვყრათ!

ეს სვალინდელ დღეს სვირღვაა!  
**როინ მეტრეველი,**  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

**ექსკლუზიური ინტერვიუ როინ მეტრეველთან „დიდი პოლიტიკოსი, კავკასიის გამაერთიანებელი“ იხილეთ 6-7 გვ.**



**„თბილისისაკენ, დავით, ცხენი უემოაბრუნე!“**



იხ. 6 გვ.

**შევიგუგაოთ საქართველოს სისტემური განვითარების სტრატეგია!**

საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს



გიორგი კარამანიშვილი-მინისტრი!

საქართველო, ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე უამრავი საშინაო, თუ საგარეო ფაქტორების გამო, განსაკუთრებით პანდემიისა და რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ამასთან, ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ქმნიან საფუძველს ქვეყნის შემდგომი დაჩქარებული განვითარებისთვის. ასეთ ვითარებაში ქვეყნის რეკონსტრუქციული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაჯანსაღებისა და საქართველოს გეოსტრატეგიული როლის კიდევ უფრო ასამაღლებლად, მიზანშეწონილია შემუშავდეს გრძელვადიანი პერიოდზე (15-20-წლიანი, მოკლე და საშუალოვადიანი ეტაპებისა და ამოცანების განსაზღვრით) გათვლილი ქვეყნის დაჩქარებული სისტემური განვითარების ერთიანი სტრატეგიული დოკუმენტი.

# შევიშაოთ საქართველოს სისტემური განვითარების სტრატეგია!

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს, გაბონ ირაკლი ღარიბაშვილს

წინგმელი მაგალითი (იაპონია, სამხრეთ აზია, გერმანია, ისრაელი, შვედეთი, შვეიცარია და სხვ.), სადაც მეცნიერთა (აკადემიური სექტორი) და მთავრობათა თანამშრომლობამ, ქვეყნები დემოკრატიის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის თვისებრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. ამ თვალსაზრისით, უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანიაში კანცლერ კონრად ადენაუერისა და პროფ. ლუდვიგ ერჰარდის ჯგუფის თანამშრომლობით მიღწეული უპრეცედენტო შედეგები, ასევე საყოველთაოდ აღიარებულია აშშ-ის პრეზიდენტთან შექმნილი ეკონომიკური მრჩეველთა საბჭოს, როგორც სახელმწიფოს მეთაურის საკონსულტაციო ორგანოს გამოცდილება ამერიკის ეკონომიკის კრიზისების დაძლევისა და მის შემდგომ რეკონსტრუქციებაში. მიგვაჩნია, რომ აშშ-ის გამოცდილების გაზიარება საქართველოსთვის პოზიტიური დატვირთვის მატარებელი იქნება.

ერთა და პრაქტიკოსთა ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის აწმყოსა და მომავლის ღრმა გაზრდის საფუძველზე დაევალება ოპტიმალური ვადაში ასეთი დოკუმენტის მომზადება. აღნიშნულ ჯგუფს უნდა მიეცეს უფლება პარალელურ რეჟიმში მოიწვიოს კონსულტანტებად სხვადასხვა დარგის პროფესიონალები. შეჯერებული დოკუმენტი კი ღია საჯარო განხილვის შემდეგ მიღებულ უნდა იქნეს საქართველოს მთავრობის მიერ. ვთვლით, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს თქვენ უნდა ჩაუდგეთ სათავეში. ამით, შესაძლებელი გახდება მსოფლიო თანა-

მეგობრობასთან ჰარმონიზაციით, მეცნიერული ცოდნისა და მთელი საზოგადოების ერთიანი ძალისხმევით, მივაღწიოთ ქვეყნის მაღალტექნოლოგიურ ინდუსტრიალიზაციას, რითიც უზრუნველვყოფთ საქართველოს ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას, სასურსათო უსაფრთხოებასა და საყოველთაო კეთილდღეობას გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად. საქართველომ, ქართველმა ერმა, დროის ახალი გამოწვევების საპასუხოდ საქვეყნოდ უნდა განაცხადოს, ვინ ვართ, რანი ვართ, რა გვაქვს, რა შეგვიძლია, რა გვსურს და საით მივდივართ. საქართველო ვალდებულია მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობიდან, შემოქმედებითი და რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე, დამკვიდრდეს XXI საუკუნის ერთ-ერთ წარმატებულ ქვეყნად.

პატივისცემით, აგბა ალავერდელი მიტროპოლიტი **დავითი, ავთანდილ ბრატული, იოსებარჩვაძე, რევაზ ასათიანი, დავით ბაღვაშვილი, ვახტანგ დავითაია, გივი თალაქვაძე, როლანდ თოფჩიშვილი, ჯუმბარ კოხალიანი, პაატა კოლუაშვილი, ბაძა ნაცვლიშვილი, ვლადიმერ პაპაშვილი, ბადრი რამიშვილი, რომან რურუა, ნიკოლოზ სანუბლიძე, ავთანდილ სილაგაძე, ყარაბაგ ფაღვაძე, ნიკოლოზ ჩხეიძე, მირაზ ჩხეიძე, ნოდარ ჭითანაშვილი, მიხეილ ჯიჯუაძე.**

## ღვანელობის: „ქართულ ოცნებას“ კვლავ სჭირდება დამტკიცება, „ნაცებს“ რეპოლუსია უნდათ, რაღბან კაცი იძახის, რეპოლუსია კი არა, ომი მიწაში!

როცა პარტიის ასე თუ ისე ცნობილი ადამიანი ასეთ განცხადებას აკეთებს, სულ მცირე, პარტია უნდა გამოვიდეს და გაემიჯნოს ამ განცხადების შინაარსს, - ამის შესახებ პარტია „მოქალაქე-

ების“ წევრმა, ლევან იოსელიანმა განაცხადა. „მე „ნაციონალურ მოძრაობაში“ ვიცი რომ ბევრ ადამიანს და იქ არიან საკმაოდ გონიერი ხალხი, ვისაც ესმის, რომ ასეთი გან-

ცხადებები, რაც გიორგი ჩალაძემ გააკეთა, არათუ ახლოვებს ხელისუფლებაში დაბრუნებასთან, არამედ, პირიქით, უფრო და უფრო შორს აკედებს შესაძლებლობას, რომ ისინი როდესმე დაუბრუნდნენ ძალაუფლებას. როცა პარტიის ასე თუ ისე ცნობილი ადამიანი ასეთ განცხადებას აკეთებს, სულ მცირე, პარტია უნდა გამოვიდეს და უარყოს ამ განცხადების შინაარსი; გაემიჯნოს და თქვას, რომ ეს არის ამ კონკრეტული ადამიანის აზრი და ჩვენ ასეთი რამ აზრდად არ გვაქვს...“

## გაპროექტირებულია საუკეთესო ტურიზტული მიმართულებად აღიარა!

გაპროექტირებულია მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია მესტიამე სტატიას აქვეყნებს და მას საუკეთესო ტურიზტული მიმართულებად ასახელებს. სტატიამე მესტია „ყველაზე სუფთა ტურიზტული რეგიონად“ არის მოხსენიებული. „მესტიას თავისი არაჩვეულებრივი ბუნებით და მდიდარი ისტორიით, აქვს ქართული არქიტექტურისა და ეთნოგრაფიის არაჩვეულებრივი ძეგლები, მათ შორის ეკლესიები, მონასტრები, ტრადიციული კომპლექსები და ნაგებობები. მას აქვს არაჩვეულებრივი ლანდშაფტი, მდიდარი ტყის მასივები და ალპური ზონები, რომელიც ცნობილია იმით, რომ მსოფლიოში ცნობილი სპორტული ჩემპიონატები ტარდება“, - კვითხელობთ სტატიამე.

# თბილისიდან ბათუმში - თითქმის სამ საათში

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ქვეყნის მთავრობის ფარგლებში, 2023 წელს განსახორციელებელი 5600 პროექტისათვის 3 მილიარდ 600 მილიონ ლარს დახარჯავს. როგორც პრემიერ-მინისტრის რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან და მის მოადგილეებთან შეხვედრის შემდეგ ითქვა, 2023 წელს გაგრძელდება 207 კმ მაგისტრალური გზის მშენებლობა. სულ, 2023 წელს მაგისტრალური გზების მშენებლობის მიმდინარე პროექტების ღირებულება შეადგენს 6.5 მილიარდ ლარს. 2023 წელს ასევე აქტიურად გაგრძელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის საერთაშორისო მაგისტრალის განვითარება, რომელიც შუა დერეფნის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამჟამად, სამუშაოები მიმდინარეობს მაგისტრალის 108 კმ-ზე. მათ შორის, გათვალისწინებულია რიკოთის საუკუნის პროექტი, რომლის მთლიანი პროგრესი, საშუალოდ 73%-ია. ამჟამად რიკოთის 51 გვირაბიდან გაჭრილია 41 გვირაბი, 97 ხიდიდან აშენებულია 63 ხიდი და პროექტის ძირითადი მონაკვეთების დასრულება დაგეგმილია 2023 წლის ბოლოს. 2023 წელს სამტრედიის-გრიგოლეთის უკვე გახსნილ 24 კმ-იან მონაკვეთს დაემატება ახალი მონაკვეთი და ექსპლუატაციაში შევა სამტრედიის-გრიგოლეთის კიდევ 13.5 კმ-იანი გზა, რაც ზესტაფონიდან (არგვეთას კვანძიდან) ლანჩხუთამდე, 86 კმ-იანი 4-ბოლიანი ჩქაროსნული მაგისტრალური გზით გადაადგილების საშუალებას მოგვცემს. ამასთან, გაგრძელდება სამუშაოები სამტრედიის-გრიგოლეთის მე-3 ლოტის 12 კმ-იან მონაკვეთზე. 2023 წელს გაგრძელდება სამუშაოები გრიგოლეთი-ქობულეთის გზის მონაკვეთზე და გვერდის შესაბამისად, მაგისტრალურ გზებს დამა-

ტებით 6 კმ შეემატება. ასევე, 2023 წლის ბოლოს არის დაგეგმილი ბათუმის უმნიშვნელოვანესი 13,3 კმ-იანი შემოვლითი გზის მშენებლობის დასრულება. მთლიანობაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის ყველა მიმდინარე მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში, ყველა ძირითადი მონაკვეთის დასრულება 2024 წელს იგეგმება, რის შედეგადაც, თბილისიდან ბათუმამდე გადაადგილება მხოლოდ 3-3.5 საათში გახდება შესაძლებელი. უკვე 5 კმ-ზეა გაჭრილი უნიკალური ქვეშეთი-კომის 9 კმ-იანი 15 მეტრი დიამეტრის უწყვეტი საავტომობილო გვირაბი, რომელიც წარმოადგენს კომპლექსურ პასუხს ყველა იმ მრავალწლიან გამოწვევაზე, რომელიც უკავშირდება კლიმატური პირობების გამო ხანგრძლივად ჩაკეტილ გზას, ადგილობრივი მოსახლეობის ელემენტარულ საჭიროებებზე შემდგომი წვდომას და მრავალ სხვა პრობლემას. პროექტზე მუშაობა ინტენსიურად გაგრძელდება 2023 წელს, რომლის დასრულებაც 2024 წელს არის დაგეგმილი.

ინტენსიურად გაგრძელდება კახეთის მაგისტრალის მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც, 2023 წელს დაგეგმილია ვაზიანის შემოვლითი 4 კმ-იანი გზის დასრულება. გაგრძელდება და გვერდის შესაბამისად, 2024 წელს დასრულდება კახეთის მაგისტრალის 48 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა. ასევე, წელს, დაიწყება საკარგო-მადიანის 17 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობაც. \* \* \* 2023 წელს თუშეთამდე მისასვლელი ფშაველი-ამანო-ომალის 63 კმ-იანი გზის საგზაო მოძრაობის პირობების გაუმჯობესების სამუშაოები გაგრძელდება; ასევე, გაგრძელდება ლენტეხის-ლასდილი-უშგული-მესტიის 51 კმ-იანი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია და დაიწყება გომბორის 34 კმ-იანი საგზაო მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მთლიანობაში, 2023 წელს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, მიმდინარე 1022 კმ გზის რეაბილიტაციის ფარგლებში, დასრულდება 450-500 კმ-მდე გზის რეაბილიტაცია. ასევე ინტენსიურად გრძელდება რეგიონებში გზების რეაბილიტაცია. 2023 წელს დასრულდება კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის უმოკლესი გზით დამაკავშირებელი, თიანეთი-ახმეტის 30 კმ-იანი გზის რეაბილიტაცია; იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის დამაკავშირებელი გზის დასრულებულ 35 კმ-იან მონაკვეთს შეემატება 16 კმ-იანი მონაკვეთი, რომლის მთლიანად დასრულება დაგეგმილია 2025 წელს; ასევე, 2023 წლის ბოლოს იგეგმება სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონის დამაკავშირებელი ხულო-ზარზმის 42 კმ-იანი გზის ყველა ძირითადი მონაკვეთის რეაბილიტაციის დასრულება, რაც განახლებებს გადაადგილების დროს.



ევროკომისიამ საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკავშირის აღმასრულებელი ორბანოს ანგარიში რამდენიმე სფეროს უხეზა, მათ შორის მართლმსაჯულებას, შიდა ბაზარს, კონკურენციის პოლიტიკას, მწვანე პოლიტიკას, სოფლის მეურნეობასა და საბარეო ურთიერთობებს.

მართლმსაჯულების თავის შეაჯამებელი აღნიშნულია, რომ საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში საერთო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებას. ქვეყანას აქვს რამდენიმე სტრატეგია, განსაკუთრებით ტერორიზმთან და მიგრაციასთან დაკავშირებით. კანონმდებლობა გობიერს სფეროში, განსაკუთრებით უსაფრთხოებას და თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, თუმცა ინსტიტუციური თანაფრომლოგა და კოორდინაცია სუსტია. შედეგად, განხორციელება გობიერ არადაადაპტაციულია.

ცალკე თავი ეხება საჯარო შესყიდვებს. ევროკომისიის ანგარიშში წერია, რომ საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე სახელმწიფო შესყიდვების სფეროში, თუმცა მან კიდევ უფრო უნდა შეუსაბამოს თავისი საკანონმდებლო ბაზა ევროკავშირის კანონმდებლობას კონტრაქტორების ჩართვით კომუნალურ სექტორებში და შემდგომში შეუსაბამოს თავისი კანონმდებლობა კონსერვისების დირექტივას თავდაცვის, უსაფრთხოების სექტორებში შესყიდვების დროს.

ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, სტატისტიკის მხრივ, საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე უმეტესწილად, არსებობს ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტები საჭირო სტატისტიკური მონაცემების მოსამზადებლად, სისტემის შემდგომი განვითარებისთვის, რათა სისტემა დაახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებთან. სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, საქსტატს ჰყავს თანამშრომელი შედარებით მცირე რაოდენობა და ხელფასების დონე არ შეესაბამება საჯარო სამსახურის სხვა სფეროებში მოხელეთა ხელფასებს. შედარებით შეზღუდულია ფინანსური და IT რესურსებიც.

ანგარიშის ცალკე თავი ეძღვნება ფინანსების კონტროლს, სადაც წერია, რომ საქართველოში ფინანსური კონტროლის კანონი ადეკვატური საფუძველია საჯარო შიდა ფინანსური კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებისა და ევროკავშირის საჯარო შიდა ფინანსური კონტროლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, მენეჯერული ანგარიშგაულებლობა, ფინანსური მენეჯმენტი, კონტროლი და შიდა აუდიტი არ არის ეფექტურად განხორციელებული არასაკმარისი შესაძლებლობების, საჯარო სამსახურში მათი სარგებლობის დაბალი გავრცელების და სამინისტროებს, მათ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის ანგარიშგაულებლობის არაეფექტური მექანიზმების გამო. ფინანსური ინსპექციის როლი და გავლენა საჯარო სექტორში უნდა გადამხედოს.

საქართველო ზომიერად არის მომზადებული დაფუძნების უფლებასა და მომსახურების გაწევის თავისუფლებასთან დაკავშირებით. მისი საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების მიმართ თანაბარ მოპყრობას საქართველოში უცხოური იურიდიული პირების კომპანიებისა და ფილიალების დაარსების შესახებ. ანგარიშის მიხედვით, საქართველო ზომიერად არის მომზადებული კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების არეალში. შემდგომი ძალისხმევით საჭირო საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ევროკავშირის გადახდის სამსახურის დირექტივა 2-თან და ევროკავშირის ფინანსური სერვისების დირექტივა 13-თან გათანაბრების ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

კომპანიების სამართლის სფეროს შეფასებისას აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღე და ყოველდღიური თაღისუფალი ვაჭრობის სფეროში მხარი დაუჭირა საფრის ნაბიჯებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეფაპრომოდო გათანაბრებისთვის გობიერ სფეროში, საჭიროა შემდგომი ძალისხმევა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოებას. ასევე ქვეყანა უნდა უზრუნველყოს ფინანსური და ადამიანური რესურსების შესაბამისი დონე ფინანსური სფეროს, მართლმსაჯულებისა და სანქციების ამოცანების შესასრულებლად.

ევროკომისიის შეფასებით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროში საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე. მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა საავტორო და სამრეწველო საკუთრების უფლებებზე ნაწილობრივ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას ზოგიერთ სფეროში, ჯერ კიდევ მეორე საფეხზეა შესასრულებელი. გარდა ამისა, ანგარიშის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულების გაუმჯობესების შესაძლებლობა.

რაც შეეხება კონკურენციის პოლიტიკას, ევროკომისიის შეფასებით, საქართველო კონკურენციის პოლიტიკის სფეროში მომზადების ადრეულ ეტაპზეა. ქვეყანამ უნდა გააგრძელოს საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გასწორება ამ სფეროში, კერძოდ, დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენებისა და კარტელების შესახებ.

ევროკომისიის ანგარიში საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის შესახებ

თითქმის ყველა სფეროში სანდო ეტაპზე ვართ და „ბარკვეული“... სინაგოგისებრი „გაუბარკვეული“ დონე გვქონია!



საქართველოს სახელმწიფო დახმარების შესახებ კანონმდებლობაში არსებითი ცვლილებებია საჭირო, რათა ის ამ სფეროში ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში იყოს. საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა სახის სახელმწიფო დახმარება (გარდა დე მინიმის დახმარებისა) ყველა სექტორში ეცნობოს კომპეტენტურ აღმასრულებელს და დახმარება არ გაიცეს, ვიდრე აღმასრულებელი არ დაამტკიცებს მას. აკრედიტაციის ეროვნულმა კომიტეტმა უნდა შექმნას აღსრულებული გადაწყვეტილებების მყარი გამოცდილება, განსაკუთრებით სახელმწიფო დახმარების სფეროში. საქართველომ მნიშვნელოვნად უნდა გააძლიეროს დაწესებულებების ადმინისტრაციული შესაძლებლობები და გაზარდოს ინფორმირებულობა სახელმწიფო დახმარების წესების შესახებ დახმარების მიმღებებს შორის.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველოს აქვს მომზადების გარკვეული დონე მომხმარებელთა დაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში. ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებელთა დაცვის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის გათანაბრებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და მისი სათანადო აღსრულებას უზრუნველყოფის.

ცალკე შეფასება ეხება ციფრულ ტრანსფორმაციას და მდიას, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს აქვს გარკვეული დონის მომზადება ინფორმაციული საზოგადოებისა და მდიის სფეროში.

რომ. მან გადადგა გარკვეული ნაბიჯი თავისი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. საქართველოს აქვს ციფრული პოლიტიკის რამდენიმე სტრატეგია, მაგრამ ძალისხმევა უნდა განხორციელდეს იმისთვის, რომ იხიონ შეესაბამებოდეს ევროკავშირის „ევროპის ციფრული მომავლის ფორმაგას“ და „ციფრული პოპულაციის“. ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსის სექციის დეკლარაციის განხორციელება აშკარა არ არის. არსებობს უნივერსალური მომსახურების რეჟიმის ნაკლებობა და, შესაბამისად, უნივერსალური სერვისების დაწესება ევროპული ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსით ზარალით შეუძლებელია. არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი აქტები ან წესები ღია ინტერნეტზე წვდომის შესახებ. პროგრესი, როგორც ჩანს, მიღწეულია აუდიოვიზუალური მდიასფეროს სექციის დირექტივასთან შესაბამისობაში.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველოს აქვს გარკვეული დონის მომზადება საგადასახადო სფეროში. გადაიღება ნაბიჯები დღე-ისა და აქციის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან გათანაბრებისთვის. პირდაპირი დაბეგვის შესახებ კანონმდებლობა უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. ევროკომისიის შეფასებით, საქართველო ეკონომიკურ და მონეტარული პოლიტიკაში ზომიერად არის მომზადებული. რაც შეეხება მონეტარულ პოლიტიკას, საქართველოს ეროვნული ბანკი ეფექტური ინსტიტუტია. მისი დამოუკიდებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით, კანონმდებლობით და დადასტურებულია პრაქტიკაში, თუმცა ბანკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული ზოგიერთი სამართლებრივი დებულება საჭიროებს შემდგომ დაზუსტებას და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. ეკონომიკური პოლიტიკის მხრივ, საჭიროა ძალისხმევა ზოგიერთ სფეროში, როგორც მათა ანალიტიკური მუშაობის ხარისხისა და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ინსტიტუციური სტრუქტურის გაუმჯობესება, რომ იყოს დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტებზე ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების სფეროს შეფასებისას, ანგარიშში აღნიშნულია, რომ შრომის კანონმდებლობის მიმართულებით, საქართველო მიიღო კანონმდებლობა რვავე დირექტივის შესახებ, სადაც მას აქვს ვალდებულება, კანონმდებლობა მოახდინოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საქართველო აღასრულებს, რომ კარგად ეხმარება ევროკავშირის კანონმდებლობა შრომის სამართლის უმეტეს სფეროში.

რაც შეეხება ქალისა და მამაკაცის თანასწორობას დასაქმებასა და სოციალურ პოლიტიკაში, ძირითადი ინსტიტუტი და დებულებები არსებობს მოქმედ კანონმდებლობაში. გენდერული თანასწორობის ზოგადი წესები არსებობს კანონმდებლობაში.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო ზომიერად არის მომზადებული საწარმოთა და სამრეწველო პოლიტიკის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება საჭირო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დივერსიფიკაციისთვის ვაჭრობის მრეწველობაში და შიდა ინდუსტრიულ ქსელებთან კავშირში. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან გათანაბრება და გვიანებული გადახდის საჭიროების შესახებ.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო ძალიან მოკლე დროში მიიღო კარგ პროგრესს კვლევისა და ინოვაციების სფეროში. ევროპულ, საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანაში. საქართველო ზომიერად არის მომზადებული მეცნიერებისა და კვლევის სფეროში. მას შემდეგ, რაც ამოქმედდა „ევროპული კვლევის არეალი“ ახალი მმართველობა, სასწრაფოდ არის საჭირო „ევროპული კვლევის არეალის“ ეროვნული საგზაო რუკის მომზადება და მიღება, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ და კარგად განსაზღვრულ მიდგომას ღია მეცნიერების მიმართ, მაგრამ ასევე მკვლევართა მობილურობაზე. რაც შეეხება ინოვაციას, თუ საქართველო ეფექტურად გააერთიანებს აკადემიის, კვლევისა და ბიზნესის ძალისხმევას მდგრადი საინოვაციო ეკოსისტემის შესაქმნელად, ეს ხელს შეუწყობს ეროვნული და რეგიონული ინოვაციების სრულყოფილებასა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო ზომიერად არის მომზადებული განათლებისა და კულტურის სფეროში. საქართველოში განათლების სისტემა ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის მიზნებს. საქართველო ასევე ფართოდ შეესაბამება ევროკავშირის მიზნებს ახალგაზრდულ პოლიტიკასთან დაკავშირებით. საქართველოს კულტურული პოლიტიკა ფართოდ ასახავს კულტურის ახალი ევროპული დღის წესრიგის ზოგად პრიორიტეტებს. საქართველოს აქვს კარგი დონის თანამშრომლობა თავის ევროპულ პარტნიორებთან სპორტის სფეროში. ქვეყანა ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის პოლიტიკას ტრენინგებისა და კვალიფიკაციის საკითხებში.

ევროკომისიის შეფასების მიხედვით, საქართველო ზომიერად არის მომზადებული საგაურო კავშირის სფეროში. საგაურო კანონმდებლობა სრულად არ შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას. საქართველომ უნდა გაათავსოს 2019 წლის საგაურო კანონი ევროკავშირის საგაურო კოდექსთან. საჭიროა აღმოინტერესო და ოპერატიული შესაძლებლობების გაუმჯობესება და საგაურო სამსახურის რესურსების გაზრდა.



რუსეთთან ომში მყოფი უკრაინა პოლიტიკურ ომს საქართველომ სთავაზობს. ამჯერად პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ საქართველოს მთავრობა მკვლევარებში დაადასტურა ყოველგვარი არგუმენტებისა და მტკიცებულებების გარეშე.

მომენტში, სანამ უკრაინა იბრძვის სიმაართლის დაღვინის დრო არაა. როგორც პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა თქვეს, სანამ უკრაინა იბრძვის, იქამდე საქართველო არ შეეკამათება უკრაინას, მერე ვნახოთ. დღეს უკრაინასთან დაპირისპირებულ პიროვნებას, თუ ქვეყანას ავტომატურად მოათავსებენ რუსეთის უკრაინაში და ეს საქართველოს არ გამოადგება", - აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

როგორც პოლიტოლოგი ამბობს, ბრალდება, რა თქმა უნდა, მძიმეა და შესაბამისად, უკრაინის პრეზიდენტის ინტერესებში არის ასეთი ბრალდების არსებობა, რომელიც თვითონ უნდა გაახმოვანოს.

ანალიტიკოსის სოსო მანჯავიძის განცხადებით, 2012 წლიდან, მას შემდეგ, რაც უკრაინის ხელისუფლებამ შეიფარა სა-

ლება არ უნდა გვინდეს, ვფიქრობ, რომ მაინც გადაჭარბებული იქნებოდა ჩვენი მხრიდან", - ამბობს ქართველი პოლიტიკოსი.

რაც შეეხება უკრაინის ხელისუფლების დაუსაბუთებელ ბრალდებას, ანალიტიკოსის შეფასება ეფუძნება იმას, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია ზელენსკის ადმინისტრაციის ჩანაცვლება ახალი პოლიტიკური ფიგურებით, რაც მისი თქმით, ნამდვილად შეესაბამება სიმაართეს.

„ამაზე ინიშად მეტყველებს ის აუდიტორული კომისიის მუშაობა, რომელიც კვირები არის წარმოდგენილი ძალიან ავტორიტეტული აუდიტ კომპანიების მხრიდან, რაც ვიქტორია ნულანდმა დააანონსა და, როგორც ჩანს, იქ კონკრეტულ შედეგებამდე მივლენ. ასევე, ამის ინიშობა დადასტურებაა ის ყოველდღიური დაპატიმრებები



# ზელენსკის ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო დღეებია თუ, სააკაშვილისა - საპარლამენტო?

**ნაციონალურ თამაში გააგრძელა ზელენსკიმ პუტინის მითითებით, რომ სააკაშვილისთვის მივსა მოქალაქეობა!.. მანდ ბავრი რამ არის გასარკვევი, მარამ!..**



„საქართველო, მისი ხელმძღვანელობა - ვისკენ არიან ისინი დღეს? ისინი ნეიტრალურები არიან თუ რუსეთისკენ? რაღა რუსეთი ისევე ეპყრობა თავის პოლიტიკოსებს, როგორც დღეს საქართველოს ხელმძღვანელობა ეპყრობა უკრაინის პოლიტიკოსებს, არამედ უკრაინის მოქალაქეებს. და ამიტომ, კიდევ ერთხელ: ისინი ნეიტრალურები არიან თუ რუსეთისკენ არიან? თუ ისინი უბრალოდ უკრაინის წინააღმდეგ არიან?“, - აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

უკრაინის პრეზიდენტის, ზელენსკის პოსტს მიხეილ სააკაშვილის შესახებ, Twitter-ში საქართველოს მოქალაქეების ნაწილის პროტესტი მოჰყვა. „ტვიტერის“ ქართული მომხმარებლები უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე 2003-2012 წლებში მოკლული და ნაწამები პირების ფოტოებს აქვეყნებენ. ზელენსკის პოსტზე სისტემის სხვა მსხვერპლების ფოტოებთან ერთად, სანდრო გინგულიანის, სულხან მლაქაშვილის, მუტა რიბაქიძის, ვალერი გელაშვილის და სააკაშვილის რეუტის მსხვერპლი მოქალაქეების ფოტოებიც დევს, რომელთა საქმეზეც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მსჯავრდადებულია. კომენტარების ნაწილი პოსტიდან უკვე წაშლილია.

უკრაინის ხელისუფლების მიერ გაუდგინებული ბრალდებების საპასუხოდ, ელჩის გამოწვევას აუცილებლობაზე საუბრობენ ქართველი ანალიტიკოსები. ზაალ ანჯაფარიძის განცხადებით, უკრაინის საგარეო მინისტრის ქვეყანას საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაკონდაც მიაყენა უმძიმესი შეურაცხყოფა, მათი ერთი კრიმინალი მოქალაქის გამო, რომელიც თავად შემოგზავნეს აქ ხელისუფლების დასამხობად.

**საქართველო, მისი ხელმძღვანელობა - ვისკენ არიან ისინი დღეს? ისინი ნეიტრალურები არიან თუ რუსეთისკენ? რაღა რუსეთი ისევე ეპყრობა თავის პოლიტიკოსებს, როგორც დღეს საქართველოს ხელმძღვანელობა ეპყრობა უკრაინის პოლიტიკოსებს, არამედ უკრაინის მოქალაქეებს. და ამიტომ, კიდევ ერთხელ: ისინი ნეიტრალურები არიან თუ რუსეთისკენ არიან? თუ ისინი უბრალოდ უკრაინის წინააღმდეგ არიან?**

„ახლა უკვე აღარ გამოვა თავის დაძვრენა - ქვეყანა ომშია“ და მსგავსი დიპლომატიური ეკვილიბრისტიკა დაიკავია ქვეყნის და სახელმწიფოს ღირსება და დაუყენებელი გამოიწვიო კვივიდან ელჩი კონსულტაციისათვის და საპასუხო დიპლომატიური ნოტის გადაცემაც არ დაგვიწყდეთ!“, - მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

ქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათ შორის ყოფილი პრეზიდენტი, ღიად ემზდვის საქართველოს ხელისუფლებას. მისი თქმით, გასაგებია ისიც რატომ არ აძლევს რეაგირებას საქართველოს ხელისუფლება უკრაინიდან წამოსულ ბრალდებებს.

„რაზე ვლაპარაკობთ საერთოდ? ზელენსკიმ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლება იმაში, რომ კლავს უკრაინის მოქალაქე სააკაშვილს. ამაზე თუ არ გამოიწვიო ელჩს, ამა რაზე უნდა გამოიწვიო?! ეს არც პირველი განცხადებაა და არც ბოლო იქნება. უკრაინის ხელისუფლება ღიად ემზდვის საქართველოს ხელისუფლებას. გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ აძლევს რეაგირებას ამ ბრალდებებს იქიდან გამომდინარე, რომ ერთი დირექტორი ჰყავთ - აშშ-დან ერთი კურატორი ჰყავთ“, - ამბობს მანჯავიძე.

კორუფციულ ნიადაგზე, რომელიც მიმდინარეობს უკრაინის ხელისუფლებაში. თუმცა ეს კორუფციული გარიგებები ეხება შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას. საერთაშორისო აუდიტები ჩასულები არიან საერთაშორისო დახმარების არამინორმირებულ განიავება-გაფლანგვის შესახებ არსებული ინფორმაციის შესასწავლად.

თუკი ეს ინფორმაცია დადასტურდება და მე დარწმუნებული ვარ, რომ დადასტურდება, ზელენსკის ადმინისტრაციის მოუწევს თავისი ხელისუფლების დატოვება. ოღონდ როგორ დატოვებენ ხელისუფლებას, მერჩებოთ ყველაფერი, მათ შორის ღია წყაროებში გაუფრთხილები ის ფინანსური მოგება, რომელიც ზელენსკის ადმინისტრაციის უკლებლივ ყველა წევრმა მოიპოვა ამ ომის განმავლობაში? იმისთვის, რომ შერჩეთ ყველაფერი, ან ნაწილი მაინც, აგენტურატივისგან მიღებული აქვთ დამატებითი დავალება - ხელისუფლებაში ყოფნის თავისი უკანასკნელი დღეები მოახმარონ იმას, რომ უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის ციხიდან განთავისუფლებაში შეიტანონ საკუთარი აქტიური წილი, რითაც აქტიურად არიან ახლა დაკავებული. მათი აქტიურობა კიდევ უფრო მადებს ჩემში ამ ძვებს და ვარაუდს, რომ მათი ჩანაცვლების საკითხი ძალიან მოახლოებულია“, - აღნიშნა დავით ქართველიშვილმა.

„ალსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წელია, ძალიან ხმაურის განცხადებებით დაგვამახსოვრა თავი უკრაინის ხელისუფლებამ, თუმცა ამჯერად ბრალდება გაცილებით ხმაურისანი აღმოჩნდა. უკრაინის პრეზიდენტი საქართველოს მთავრობას მკვლევარებში სდებს ბრალს. იმ ადამიანის მკვლელობაში, რომელიც იყენებს თვითდაზიანებას მხოლოდ იმიტომ, რომ აირილოს მოსალოდნელი სსსკელი. პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდება და მით უმეტეს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უნდა გახდეს ელჩის გამოწვევის საფუძველი, თუმცა დარწმუნებულია, რომ ამ ეტაპზე ელჩის გამოწვევის საკითხი არ დადგება.

როგორც პოლიტოლოგი აცხადებს, დღეს, ზელენსკის განცხადებებს ყურადღება ექცევა მსოფლიოში და, ფაქტობრივად, დაუსჯელად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, რასაც უნდა იმას აკეთებენ. მანჯავიძე მიმართავს ხელისუფლებას სასწრაფოდ გამოიწვიოს ელჩი.

„ტრავიკომიკური ვითარება გვაქვს. რაც უფრო მეტად ლანძღავთ და ლაფს აყრიან ჩვენს ხელისუფლებას, მით უფრო კუთვნილი უნდა იქნება დახმარება. ყოველი დახმარების შემდეგ კვლავ ახალი „პორცია“ თავს ლაფი ესხმება საქართველოს და ეს გრძელდება, მერამდენე შემთხვევაა. ბოლოს, პირდაპირ მკვლელი უწოდეს და ეუბნებიან, რომ მკვლელობაში დაგადანაშაულებთ, მთელ ევროპას გაავებინებთ, რომ თქვენ კლავთ სააკაშვილს და ასეთ იმიჯს უქმნიან საქართველოს ხელისუფლებას“, - აცხადებს სოსო მანჯავიძე.

„ძველი ქართული ანდაზა ამბობს - ძალა აღმართს ხნავსო. ანუ, ძალამ წესები არ იცის და მათ შორის - აღმართ-დაღმართიც. დღეს, მსოფლიო საზოგადოებისთვის უკრაინის ხელისუფლება პოლიტიკურად უფრო ძლიერია, ვიდრე საქართველოს ხელისუფლებამ. მსოფლიო საზოგადოება უზარმაზარ თანხებს და ამ თანხის შესაბამის შეიარაღებას აძლევს უკრაინას და ჩვენ რამოდენიმე ომი ისე გამოვიარეთ, რომ ერთი ავტომატი არ მოუყვია არავის. რატომ ხდება ეს, მსოფლიო რატომ არის ასე ორიენტირებული უკრაინაზე და არა ჩვენზე, ეს სხვა საუბრის თემაა, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ უკრაინასთან დაპირისპირების თუნდაც დიპლომატიური, ან განცხადებების შემთხვევაში ყველა უკრაინის მხარეს დაიჭრის და არა საქართველოს. საქართველოს მხარე შეიძლება დაიჭიროს რუსეთმა, რაც კიდევ უარესია საქართველოსთვის. ამიტომ, მოყვებულ

ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი ამბობს, რომ ყველანაირი ლეგიტიმური უფლება გვაქვს ამ ნაბიჯს მივმართოთ, თუმცა გამოდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ომი მიმდინარეობს, ელჩის გამოწვევის საკითხი სწორი არ იქნება. მისი თქმით, სხვადასხვა ინფორმაციით, რუსეთი ემზადება გამანადგურებელი იერიშისთვის, რამაც შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს უკრაინისა და უკრაინელი ხალხის ბედი.

„მაგრამ ის, რომ როგორც მინიმუმ, კონსულტაციების ჩასატარებლად ელჩის დროებითი გამოწვევა კვივიდან თბილისში აუცილებელია, ამაში დარწმუნებული ვარ. იმიტომ, რომ საქართველო უპასუხოდ დატოვდა, ასევე არ შეიძლება. მაგრამ ამ ვითარებაში მკვეთრ ნაბიჯებზე გადავიდეთ რამდენადაც ამის ლეგიტიმური უფ-

ღვთისმშობლის სახელთან არის დაკავშირებული 1104 წელს სრულიად საქართველოს დიდი (რუს-ურბანის) საეპისკოპოსოს კრების მოწვევა.



– ბატონო ნოზი, 950 წელი შესრულდა დიდი ქართველი პოლიტიკოსის, კავკასიის გამაერთიანებლის, წმინდა დავით IV აღმაშენებლის დაბადებიდან. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის თაოსნობით 2023 წელი გამოცხადებულია დავით აღმაშენებლის წლად. ეს ძალიან მეგობრული თითოეული ქართველისთვის. მოდი, კიდევ ერთხელ მოგვიხსენიე ამ მეფეთმეფის, სამაგალითო ქართველის შესახებ.

– საქართველოს გამოჩენილი ისტორიული მოღვაწის მეფე დავით IV აღმაშენებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას თანამგზავრად ხვდა მძიმე მრძოლები, ზნეობრივი და ფიზიკური ძალების გამუდმებული დაძაბვა, ღრმა დრამატიზმი; მისი მოღვაწეობის არსებითი შედეგი ქვეყნისა და სამეფო ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცება იყო. სწორედ XII საუკუნის პირველ მეოთხედში მიადგინა ფეოდალურმა საქართველომ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების მაღალ დონეს. ქვეყნის ეკონომიკურმა ძლიერებამ თავისი გამოხატულება შპოვა საწარმოო ძალთა განვითარებასა და შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში. ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა ქალაქების დაწინაურება, ფეოდალური საქართველოს ქალაქებმა კი, თავის მხრივ, დიდი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინეს. ამიტომ იყო, რომ დიდი ფეოდალები მხოლოდ ე.წ. მდაბო მოლაშქრეთა საშროლოდ დაემყვებინათვის კი არ იზრდოდნენ, არამედ ქალაქების დაუფლებასა და ვაჭარ-ხელოსნებზე გაბატონებასაც ისახავდნენ მიზნად.

დავით აღმაშენებელთან არის დაკავშირებული XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვნად გაფართოება მართლაც ნიკოფსიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაჩამდე. ქვეყნის როგორც ტერიტორიული, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება უზრუნველყო გარეშე მტრებთან ქართველი ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ და საქართველოს სამეფო ხელისუფლების, დავით IV აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივმა სახელმწიფოებრივმა რეფორმებმა (ეკონომიკური, სამხედრო, სასამართლო, საეკლესიო და სხვ.), რასაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა – საქართველო დაწინაურდა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ქვეყნის აღმავლობა განუწყურდა იყო დაკავშირებული დავით აღმაშენებლის სახელთან.

– როგორც ცნობილია, ბატონო რიონი, XI საუკუნის 80-იანი წლების დამდეგი თურქ-სელჩუკთა ურთიერთგზობითა ახალი შემოსევებით აღინიშნა. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დიდი თურქობის“ სახელით მოიხსენიებს ამ შემოსევებს და თარიღად 1080 წელსა სდებს... ერთ დღეს დაუწვიათ თურქ-სელჩუკებს ქუთაისი, არტანუჯისა და კლარჯეთის უდაბნოები, მოუჭამიათ მთელი ქვეყანა და წასულან, თუმცა ზამთრის მოახლოებისას უკან დაბრუნებულან..

– სწორად შეგინიშნავთ. გაეხსენოთ „ქართლის ცხოვრება“. „არა იყო მათ უამთა შინა თესვა და მკა: მოიხრება ქვეყანა და ტყედ გადაიქცა, ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ვეღვისანი დაემკვიდრნენ მას შინა... მოხუცებული არა შეწყალებულ იქმნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ, ჭაბუკნი დაკუთვებულ, ხოლო ჩრვილნი მიმოდატაცებულ... მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლი-სა ნაკადულთა“..

– შემადრწუნებელი ციტატა!

– დიახ, ასეთი მძიმე საშინაო და საგარეო მდგომარეობისა და მწვავე სახელმწიფოებრივი კრიზისის პირობებში საქართველოს სამეფო კარზე 1089 წელს მოხდა გადატრიალება, რომლის შედეგადაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიორგი II დადასყენეს სამეფო ტახტიდან და მისი ადგილი დავით გიორგის ძემ, დავით IV აღმაშენებელმა დაიკავა.

„მნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა შეფობათმან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელმოდგამან, დავით“ – ასე აგვიჩვენებს დავით აღმაშენებლის გამეფებას მისი ისტორიკოსი.

მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად თექვსმეტი წლის დავითს, თურქ-სელჩუკებისგან აკლემული და განადგურებული ქვეყანა, მთებში გახიზნული და დამპყვნილი მოსახლეობა, დაცარიელებული ციხე-ქალაქები და სოფლები. ქვეყნის მოსაღონებლად მტკიცე ღონისძიებანი იყო საჭირო.

საქართველოს სამეფო იმდენად დაკნინებული გახლდათ, რომ მისი მეფის უფლებები მხოლოდ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. დავით აღმაშენებელმა შემოიკრიბა თავისი ერთგულები. სწორედ ერთგული მოლაშქრეებით ესხმოდა თავს თურქ-სელჩუკებს, ამარჩებდა მათ და ამით მტრის შიშით მთაში გახიზნულ ქართველ მიწის მუშას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა. დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები ქართლიდან თანდათან აპყარა. ეს წვრილი გამარჯვებები ქართველ ხალხში საკუთარი ძალის რწმენას აღვივებდა. ქვეყანა თანდათან დაუბრუნდა საკუთარი მიწა-წყლის მოვლა-პატრონობის საქმეს, ქალაქებიც აღორძინების გზას დაადგა.

დავით აღმაშენებელმა დაამარცხა დიდგვაროვანი მოწინააღმდეგეები (მადეაშვილი, აბულეთისძეები), 1099 წელს სელჩუკთა სულთანს ხარკის მოცემა შეწყვიტა, გააუქმა კლდეკარის საერისთავო (1103), 1104 წელს ერთიან სამეფოს ჰქრეთი და კახეთი შემოუერთა.

მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალებმა როგორც კი ნახეს, რომ კახეთი და ჰერეთი საქართველოს მეფის ხელ-დებული და ერთიანი ქვეყნის შემადგენელი გახდა, დახმარება სთხოვეს განძის ათაბაგს, რომელიც თურქეთის სულთნის მოხელე იყო. შეიკრიბა სულთნის ლაშქარი, რომელიც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედ-

# დიდი პოლიტიკოსი,

## ინტერვიუ აკადემიკოს როინ მეზრეველთან

ვით ძალზედ მრავალრიცხოვანი ყოფილა და საქართველოს მოადგა. დავით აღმაშენებელმა მტერთან შედარებით ბევრად მცირე ლაშქარი გამოიყვანა და ერწუხთან შეება მტერს. მტრის რიცხობრივ უპირატესობას საქართველოს სამეფო კარმა გაწვრთნილი ლაშქარი და პატრიოტი, თავგანწირული მებრძოლები დაუპირისპირა.

დავით აღმაშენებელმა „ქმნა წყობანი დიდნი“ და ისე მედგრად შეუტია მტერს, რომ სწრაფი წარმატება მოიპოვა („ადვილად და მოსწრაფედ, ხელთ უხსნა ღმერთმან საკვირვებლბათამან“). „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითის“ თვალსაჩინოდ აღწერს დავით აღმაშენებლის უშუალო მონაწილეობას ერწუხის ბრძოლაში. იგი არ ჰგავდა სხვა მხედართუფროსებს, რომლებიც, წესისამებრ, ლაშქარს უკან უდგანან და იქიდან აძლევენ განკარგულებას მეომრებს. დავითი „უპირატეს ყოველთასა თვით წინა უვიდოდა და ვითა ლომი, შეუზახებდა ხმითა მალლითა, და ვითა გრივალნი მი – და მო იქცეოდა“... იმ დღეს დავით აღმაშენებელს სამი ცხენი მოუკლეს და „მეოთხესადა ზედა მტდომმან სრულყო მის დღისა ომი“.

ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ძლევამოსილად გაიმარჯვა. „...თვითმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი“.

– ძალზედ და თავგანწირვამ მთელი აღმოსავლეთ საქართველო გააერთიანა. ბატონო რიონი, რა გულწრფელობით და სიამაყით ჰყვებით ლომებრ ძლიერ და მამაცი მეფის ამბავს!.. შემდეგ რა იყო?!

– დავით აღმაშენებლის სახელთან არის დაკავშირებული 1104 წელს სრულიად საქართველოს დიდი (რუს-ურბანის) საეკლესიო კრების მოწვევა. ვარდა იმისა, რომ კრებას ღირსებების მიხედვით საეკლესიო თანამდებობაზე დანიშნვის საკითხი უნდა განეხილა, მოსაგვარებელი იყო მთელი რიგი სხვა პრობლემებიც. კერძოდ, ირღვეოდა ხელდასხმის წესი, ნიავდებოდა საეკლესიო ქონება, იყო „ჩრვილთა ქალ-ყრმათა გვირგვინის კურთხევის შემთხვევები, მონასტერში იმართებოდა ვაჭრობა, რაც ქრისტიანული დოგმებით შეუფერებელი გახლდათ „წმინდა დაწესებულებისათვის“ და სხვ.

„წმინდანი ეკლესიაში, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაუთა ქმნილ იყვენს“, – გულისტკივლით აღნიშნავს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. საეკლესიო კრების „ძეგლისწერაში“ არაერთხელაა მითითებული, რომ ეკლესია-მონასტრები თავს იჩენდნენ „სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბავაზაუთა შექმნითა“.

1104 საეკლესიო კრებას, მოსოფლიო საეკლესიო კრებებზე მიღებული წესისამებრ, თავმჯდომარეობდა კათალიკოსი. საეკლესიო კრების აქტიური მონაწილე ჩანს დავით აღმაშენებლის მწიგნობართუხუცესი გიორგი მონაზონი. იგი „ძეგლისწერაში“ „კრების თვალად“ არის მოხსენიებული. მწიგნობართუხუცესი გიორგი მხარში ედგა დავით აღმაშენებელს სახელმწიფოებრივ და კულტურულ საქმიანობაში. იგი ქვეყანაში მიმდინარე ყველა დიდ გარდაქმნაში მეფის თანამზრახველი და თანამდგომი იყო. ყველა პრობლემა დაწვრილებით („გამოწეულივით“) განუხილავთ და გადაუწყვეტათ. „ყოველი ცთომი განმარტეს, ვითილი და სათნო ღმრთისა წესი ყოველი დაამტკიცეს“!.. დავით აღმაშენებელმა ეკლესია საბოლოოდ შემოიმტკიცა მას შემდეგ, რაც მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდე-

ბობები გააერთიანა და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი სახელმწიფოში მეფის შემდეგ „პირველ კაცად“ აქცია.

– ეკლესია განიწმინდა, ზნეობა ამაღლდა, ეკლესიის მრევლი ერთიანად მომრავლდა, ქვეყნის გაერთიანების საქმეც წინ წავიდა!..

– წინ წავიდა და, თანაც როგორ!.. XII საუკუნის დამდეგს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისა და შემომტკიცების საკითხმა. დავითმა საქართველოს ერთიან სამეფოს შემოუერთა სამშვილდე (1110 წ.), რუსთავი (1115 წ.), გიში (1117 წ.) და ლორე (1118 წ.) მართალია, მტერი თითქმის მთლიანად განდევნილი იყო, მაგრამ ვიდრე ამიერკავკასიის აღმოსავლეთი (შირვანი და რა-და) და სამხრეთი (სომხეთი) თურქ-სელჩუკთა ხელში იყო და საქართველოსთან მიმდებარე ყაბალა-განძა ანისი იყო თურქ-სელჩუკები ბატონობდნენ, საფრთხე მაინც მოსალოდნელი იყო.

– გამოდის, რომ საქართველოს უშიშროების დაცვის საქმე მთითხვდა ომის გატანას ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

– დიახ, ასე იყო. ეს კი თავის მხრივ საჭიროებდა უწინარეს ყოვლისა, სამხედრო რეფორმებს. ქართველთა ლაშქრის კარგად გაწვრთნასთან ერთად, დავით აღმაშენებელმა ჩრდილო კავკასიიდან ყოვალთა 40000 ოჯახი ჩამოასახლა, რომელთაც 40000 მოლაშქრე შეიმატა და უკვე 1120 წლისთვის საზოგადოებრივი მუდმივი ლაშქარი შექმნა. ამას გარდა, დავით აღმაშენებელს ჰყავდა ხუთათასიანი პირადი („მცველად მისად“) გვარდია „მონა-სპა“ („რჩეული და განსწავლული... მისანდომნი და გამოცდილნი სიმხნიათ“). ქვეყნის ლაშქრის ერთ ნაწილს შეადგენდნენ „სამეფოსა სპანი“, რომელიც მუდმივი ლაშქრისაგან განსხვავებით იყო „ქვეყნითგან გამოყვანილი და ერისთავთა ქვეშე დაწესებული“ (ვახუშტი ბაგრატიონი). განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში საქართველოს ლაშქარს ემატებოდა „როქის სპა“ – უცხოელთა დაქირავებული ჯარი.

საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებითა და გააქტიურებით ბუნებრივია, შემოეთმებული იყვნენ მამამდიანი მფლობელებიც. სათანადო მომენტს უცდიდნენ მის წინააღმდეგ გასალაშქრებლად... მამამდიანთა გაერთიანებული ლაშქრის საქართველოზე თავდასხმის ორგანიზატორი და წამომწყები ჩანს ერასყის სელჩუკიანთა გამგებელი, სულთანი მამუდ მუჰამედის ძე (1117-1131 წწ.) იყო.

ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ მტრის ლაშქარი დიდგორის ბრძოლისას 300000 მეომრისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

სომეხი ისტორიკოსის მატეოს ურჰაყის ცნობით, დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლაში საომრად გაიყვანა 55600 მოლაშქრე, აქედან 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ვეროპელი მეომარი. დავითის მიერ დიდგორის ველზე გამოყვანილი ლაშქრის უდიდეს უმრავლესობას (ორ მესამედს) სწორედ ქართველები შეადგენდნენ.

– და დავა 12 აგვისტო, „ძლევად საკვირველის“ უამბო!

– დიახ, თურქ-სელჩუკების კოალიციურ ჯარსა და დავით აღმაშენებლის ლაშქარს შორის გენერალური ბრძოლა დიდგორთან გაიმართა. გოტიეს ვალ-

მოცემით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მგზნებარე მოწოდებით მიმართა თავის ლაშქარს: „...მეომარნი ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება. ჩვენ ყველამ, ხელების ცისკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდევ რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხმირი ხორგებით შევვარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევეუთოთ“...

– შეუთის და, როგორც ჩვენი თაობის ერთი შესანიშნავი პოეტი ამბობს „ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით, ყველა წაგებულ ომის მოგებას“ – ქვეყანას უღვრელობის გვირგვინი დაადგეს...

– მშვენიერი პოეტური სახეა, თქვენს გაზეთში წამიკითხავს... უნდა დაგიზუსტოთ, რომ ქართველ მოლაშქრეთა წინაშე იდგა ერთი ამოცანა – ან გამარჯვება, ან ზურგმუქცეველი სიკვდილი. ამგვარი ქცევა საერთოდ ქართველებისთვის ნორმა გახდა და უკვე შემდგომი დროის ისტორიკოსები მას წარმოგვიდგენდნენ, როგორც დაკანონებულ წესს: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუმბელად ზურგი

შევაქციოთ დაღათუ იყოს სიკუდილი“. დიახ, ზურგმუქცევლობა ოდითგანვე მოსდგამდათ ქართველ პატრიოტებს და როცა უამთაღმწერელი ამბობს „არა არს წესი“, იქნებ სწორედ დიდგორის ბრძოლის შემდეგ პერიოდს გულისხმობს იგი.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, საქართველოს ლაშქრის სარდლობის მიერ გატარებული სტრატეგიული და ტაქტიკური სიახლეებისა და მებრძოლთა თავგანწირული შემართების წყალობით დიდგორის ბრძოლა სამი უამი (საათი) გაგრძელდებოდა... მტერი სასტიკად დამარცხდა.

დიდგორის ბრძოლის წარმატებით მოგების შემდეგ „მეორესა წელსა აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი, პირველსავე ომსა, ოთხას წელ ქონებულნი სპარსთა, და დაუმკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“...

ამგვარად, თბილისი 1122 წელს იქნა შემოერთებული და საქართველოს სატახტო ქალაქი კვლავ აქ გადმოიტანეს.

დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა შირვანი (1123 წ.) და ანისი (1124 წ.). მისმა გეგმაზომიერმა საქმიანობამ „დაამშვიდა ქვეყანა... განავსო და აღაშენა ყოველი ოხერ-ქმნილი“. დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული მრავალმხრივმა ღონისძიებებმა განაპირობა წარმატებები ქვეყნის ეკონომიკური მოძღვარების საქმეში. XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სოფ-

ლის მეურნეობამ და ხელოსნობა-ვაჭრობამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია.

დავით აღმაშენებლის დროს ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი საქართველოს წინსვლა მის განახლება-კულტურაშიც გამოიხატა. აქ მოხდა ქრისტიანული (ბიზანტიური) და მაჰმადიანური კულტურების შეხვედრა-შერწყმა. განვითარდა საერო ლიტერატურა, აშკარად შეიმჩნეოდა მხატვრობის, ოქრომჭედლობისა და ხუროთმოძღვრების აღმავლობა.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში არაერთი უმაღლესი სკოლა და აკადემია ყოფილა, რომელთა შორის გამორჩეული ადგილი გელათს უკავია. დავითმა 1106 წელს „მოიგონა აღმენება მონასტრისა“ და „ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლოსა“ ააგო ტაძარი, რომელიც იყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნილი“. ეს იყო გელათი, სადაც დაფუძნდა ქართული განათლებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა – გელათის აკადემია.

XII საუკუნის საქართველოში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრები სხვადასხვა იყო. უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა იყალთოში - იყალთოს აკადემია, რომლის დამაარსებელი და პირველი მოძღვართმოდღვარი იყო არსენ იყალთოელი.

დავით აღმაშენებელი თავის ეპოქის ღვიძლი შვილი იყო და მთელი სიყვარულით გამოხატავდა ფეოდალური კლასის ინტერესებს, უკუაგებდა დრომოჭმულს და ნერგავდა

# საპასიოს ბაზაპროტიანსებელი



ახალს. მისმა ნამოღვაწარ-ნამოქმედარმა უდიდესი გავლენა იქონია არა მარტო საქართველოს მომავალ ისტორიულ გეგმზე, არამედ საერთოდ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის შემდეგ მსვლელობაზე. მან პრაქტიკულად მთელი კავკასია გააერთიანა. დავით აღმაშენებლის ხანა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიაში შევიდა როგორც დიდი გარდატეხის პერიოდი – პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის ხანა.

1125 წლის 24 იანვარს, ორმოცდაცამეტი წლისა გარდაიცვალა ოცდათექვსმეტი წელი საქართველოს მეფედ ყოფილი (მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, ვახთა, სომეხთა, შირვანთა და შაჰანთა), „მესიის მახვილად“ შერაცხილი დავით IV აღმაშენებელი. იგი დაკრძალულია მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტერში. ქვის ფილაზე, რომელიც მონასტრის ძველი, ჩრდილოეთის შესასვლელის იატაკზეა დაგებული, ასეთი ზედწერილია:

**„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე; ესე მონაგვს: აქა დავემკვიდრო მე“.**  
ესაუბრა სპარტაკ ქოზულია.

**„არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი, შეუმბელად ზურგი შევაქცითომ დაღათუ იყოს სიკუდილი“.**

## „თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!“



**ბატონო რამაქატრო!**  
უკანასკნელ ათწლეულებში იმდენი უკადრებელი გვაკადრეს და ვიკადრეთ, რომ მტერიც ვერ მოიფიქრებდა. ჩამოვთვლიდი, მაგრამ, ჩემი და თქვენი თითები არ იკმარებს! თავისუფლების ნაფსაყუდლამდე თუ ერთი „იამშიკი“ მიგვაჭებებდა თავის ნებაზე, ახლა, ვისაც კი არ ეზარება, ყველამ ხელის წამოსარტყმელად კეფა მოგვისინჯა. თავი ხან იმ სახლის პატრონის მდგომარეობაში მგონია, გაოგნებული რომ დგას და აღარ იცის მოძალადე მპარცველების აკლებული ბინის დაღაგება საიდან დაიწყოს.

ქართული არქიტექტურის დაუღალავი და ამავდარი მოღვაწე, ბატონი ვახტანგ დავითაია, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში ბრძანებს: „გასული საუკუნის „60-80-იან წლებში ჩვენს ქვეყანას გაცილებით მწირი მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა, ცნობურად თავის საქმეს „ვეთილსინდისიერად“ აკეთებდა, მაგრამ ქართულ მიწაზე აღმოცენდნენ უმრჩეველესი მონუმენტები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, დავით გურამიშვილი, გიორგი სააკაძე, ფარნავაზი, გამსახურდია, ფიროსმანი, მაიაკოვსკი, მაგრატიონი, სარაჯიშვილი, მემედ აბაშიძე...“ ჩამონათვალი გრძელდება – „თამარ მეფე, ამირანი, ცოტნე დადიანი, ერეკლე მეფე, „ალგეთის ლეკვები“, მედეა...“ და კიდევ სხვა რამდენი, ჩვენი კულტურის შენაძენი, სულ რაღაც 20-25 წელიწადში მთელი საქართველო რომ მოიცვა. ბატონი ვახტანგი განაგრძობს: „მერამ მერძენიშვილი და მე რვა წელი ვიბრძოლით დავით აღმაშენებლის ძეგლის ძველ საუფლოში დასაბრუნებლად. დღემდე უშედეგოდ.“ „ძველი საუფლო“, მეფეთ-მეფისა, რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე სვერია, საიდანაც გუდანაბალი აუერეს და, სანაცვლოდ, „ველოსიპედი“ დაგვიდგეს. თავის უნაყოფო ბრძოლის გამო წუხს სახელოვანი არქიტექტორი, ვისი ზემოთნახსენები ინტერვიუც, წესით, სამუშაო მაგიდაზე,

# „თბილისისაკენ, ღაპით, ცხენი, უამოაბრუნე!“

**(მეშვიდე კვირედი)**

რა დაგვიმართა, ნუთუ მოჩვენებითმა თავისუფლებამ ისე გაგვაბრუნა, რომ ჩვენებური გულანხეინობით კუდი ყავარზე გავდეთ და აღარც თავისუფლების სიმბოლო გვინდა, აღარც 900 წლის წინ ამ სიმბოლოს მდღის ვარსკვლავის ამომჩრჩეინებელი?!

ჩვენი მტერ-მოყვარენი, დავით აღმაშენებლის ხელყოფით, ხომ არ შეეცადნენ ენს, მომავალ თაობას წარსულისკენ „გასახედი“ სარკმელი ამოუქოლონ, მესხიერების თვალის დაუბრუნებელი და სასიცოცხლო, სამოქმედო აზროვნება და კიდურები დაუდამბლათ, „პატრონის“ დაუხმარებლად გადაადგილება რომ ვერ შეეძლოთ?!

როგორც ახლა უყვართ გამოთქმა, განა წინ „საფუძვლიანი დაუქვემდებარებელი“ ერთი და ორი მაგალითი გვიძევს? ხშირად, სინანული, ძალიან დაგვიანებით მოდის, მაშინ როდესაც ვედარაფერს შეცვლი და უკან ვერც დანაშაულის ტოლფასს უმოქმედობით დადღასმულ დროს დააბრუნებ.

**ვიდრე ყუღაფი თავს გაგვაცოფინებენ და ფხიქვამ ვიდრე სკამს ფხის გამოკვრამენ, ხომ უნდა მივხვდეთ, „გახუთა კოლონის“ აჟიტირებულ, გულუხვად დაფინანსებული „აგინტრიგადების“ დახმარებით სახრთოვალს ვისთვის დგამენ? რატომ არ გვანათლებს წარსული „ტკბილ-მწარე“ გამოცდილებამ, რომ არანაირი რასის, პანის ფერის, თვალის ფერი, წარმოშობის, სარწმუნოების, ფსიქიკის, იდეოლოგიის მოღვათა „ურდოდან“ უნდა გვხვდეთ უნდა არაფერია მოვა – „ჭიანჭველა“ „თავად უნდა მოვიკოვროს“ „პაგარო“ და გადასარჩენი „განარო“ თვითონ დაწნას.**

„ვეშაპების“ გარემოცვაში მყოფი პატარა ქვეყანა, თავისმხობველი, ნაინნაირი განსაცდელის ლაბირინთებში გონიერი „ლაგირები“ უნდა გადაჩრჩეს!

ცხადია, ამას თავისი იდენტობის შენარჩუნებისა და სულიერი და მატერიალური კულტურასთან თანადგომის გარეშე ვერ შეძლებს.

„მოყვარე მტერი“ რომ გარეგნულად „უფრო მტერია“, ჯერ კიდევ როდის გავაფრთხილა შოთა რუსთაველმა.

სწორედ შინაურმა შეშა და დავით აღმაშენებელს – „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედის „თანაავტორს“, ვინც სამშობლო ხელთუქმნელი პოემის „სამშობლოდ“ მოამზადა.

„არაშეთს გასცა მრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან“, – მართო ამ სტრიქონის განსაცვიფრებელი სილამით ივრძნობ, როგორი მრწამსი გვქონდა შინაურად და ადგა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე განვრცობილ საქართველოს, წმინდა მეფემ.

„ვეფხისტყაოსანი“, მონობით, უფლებებით დაჩაგრულ ქვეყანაში ვერ დაიბადებოდა.

დამპყრობელის უღელში შემბული სამშობლოს პოეტის მუხის „მონაყური“ ხოლოდ „ვაჰ, სოფელსა ამას“, ან „ვაჰ, დრონი დრონის“ დაუსრულებელი ამონაკვეთია...

ახლაც გვაძლევენ გრიგოლ ხანძთელივით გამჩენს შევთხოვთ: „სოფლისაი ზღვაი აღძრულ არს, ღელვისა ცოლვისაითა... და მოვალეებით შენდა ნავსაყუდელსა და ეგრეთ გილაღადებთ: დანთქმისაგან გვისხენ ჩვენ მრავალმოწყალე!“

**„ქველი საუფლოდან“ აყრილი დავით აღმაშენებელი დიდობის, დედაქალაქისაჲნ ვარგაფიანობა, მხარუნიან, სანაგავი გამოგონალოვით აქოთავალ ბაგის-ტრალის შუაგულში, გზაგარედიანთა დაფუძენს.**

**რატომ? უბოლსორო სახალგაწიფოს მოღვაწე იყო თუ „ვიკის“ სათავეში მოქარაგის მომხმარებელი?**

**სხვა რა ვიფიქროთ – დასცინეს საგონალოვანს, თვითონ ვშაქსაც დააბრუნებდნენ მაგ ხმლის კაშკაშით – თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!**

დავით აღმაშენებლის სახელობის „გრან-პრით“ და ოქროს მედლით დაჯილდოვებისას, ეს ლექსი წავიკითხე:

## ღაპით

**წამოგვწია ჟამი ფლიდი და მოყაყაყე.**

**ჭვარტლის ყორანი მგეს აბნელებს, ჰაერს აბრუნებს. თვითონ ვშაქსაც დააბრუნებდნენ მაგ ხმლის კაშკაშით – თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!**

**პირუტყვიცარმა**

**შენ, პირნათელს, როგორ შეგებდა, მკვდრებით აღმდგარი ცნუ ილღაბი ძეგლებს ეკვეთა – არ შელახულა გვირგვინი და სკიპტრა მეფეთა, ვიდრე ეს ჭირი ქვეყანას არ შემოეფეთა.**

**როცა დაგტოვეს**

**ამ გუგუნში, სიციხის ღაღარში, ეგონათ, დიდი ისტორიის წიგნი დახურეს – ქართლს შემოაღწე ცისარტყელად მაგ ხმლის კაშკაში – თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!**

როგორც ვახტანგ დავითაიას მრავალწლიან მცდელობას, არც ამ ლექსს გამოეხმაურა პრობლემის მომგვარებელთაგან ვინმე!

**ბატონო რედაქტორ!**

რა თქმა უნდა, გვესმებათ სპექტაკლ „ძველი ვოდევილებიდან“ ვასო გოძიაშვილის ელენე ყიფშიძის გმირთან გაარსიყება, „არ შეგვიცდეს, მარიშაჯან!“

ახლაც, რომ არ უნდათ „შაუცივდეთ“, სწორედ იმის ავადმყოფ ტენიში მოიხარბა ქალაქის პრესტიჟულ შუაგულში აღმაშენებლის სკულპტურის „ველოსიპედი“ ჩანაცვლების გადაწყვეტილებამ.

თქმა და ქმნა ერთი იყო!

რატომ, რისთვის, რას ეუბნება ეს ორბორბლიანი გაუგებრობა ქართველ საზოგადოებას, მომსვლელ-წამსვლელ სტუმარს, ველოსიპედის გამოგონებლები ვართ თუ ამით დავდიოდით სალაშქროდ და არა იმ ულაყით, მხედართან ერთად დიდობში რომ გაუშვებს „სამალახოდ“? მაშინ ითქვა, „აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეს“, ძველის ამღებმა თურქულ ლაშქართან გამარჯვება, დიდგორში, მეზობლების საამებლად არ აპატიო.

დალოცვილო, მართლაც მნელა? იქით ხომ არ ვილაშქრე, სამშობლო დიდგორში მომხდური დამპყრობლებისგან დავიკავე და ამისთვის იმათ შთამომავლებს უნდა ვემოდიშოთ?

აი, როგორი საძრახისი საქმისა და საქმეთა ჩამდენის დასაცავად „დიძრა“, შიგნით თუ გარეთ, „ზღვაი ცოლვისაითა!“

რომ არ „შაუცივდეთ“ შეხმატკბილებულად აიშალა კრახანების პულე, როგორმე „უბჩვენელი“ რომ გააცილონ აქაურობას.

თურმე, რამდენი ყოფილან, რამდენი ქვეყნისა და ეროვნების მოღვაწისანი ინსტრუმენტებიან.

როგორი ზნეობის კაცსაც იყავ, შენც ისეთი ხარ. თითის დაქნევა არც ოკეანის გაღმადან დანიშნულმა, საქართველოს „პირველმა“, „კითხულმა“ დიასახლისმა „ველი დეგანამა არ დაგვაკლო – ნაპრეზიდენტალის უფლებებს არღვევთო.

ქალბატონს არ მოვავროთ, თავის სახელოვან, გამოჩენულ პრეზიდენტებზე და სენატორებზე, როგორ „ნადირობდნენ“ ამერიკაში, ამისთვის ძმები კენედების გახსენებაც იკმარებდა!

ამ საჩოთირო საქმის გასარჩევად, რუსეთთან ომში ჩამბული ჩვენი ისტორიული მეგობარი ქვეყნის ხელისუფლებამაც კი მოიყალა.

მოკლედ, ურცხვად „გაიჩინენ“ და „გამიშვლდნენ“ „მატრიოშკას“ თოჯინებით ერთნაირები, ოღონდ სხვადასხვა ზომის „მარიშები“.

ვინმე იქნებ იფიქროს, მუზი აქლემად აქციეო!

ეჰ, სპანო ჯილოსანო, საით იყურებით, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ პირიქით – ცოდვის „სპილო“ უნდათ მუზად მოგვაჩვენონ?!

**1981 წელს, საარლანდის მწერალთა კავშირის მიწვევით, ლაშა თამუკაშვილთან ერთად, მაშინდელ დასავლეთ გერმანიაში გახლდით.**

ფრანკფურტის აეროპორტიდან, საარბრიუკენისკენ მგზავრობისას, ჩვენმა მასპინძლებმა, გზაზე შემხვედრ ჯარისკაცებთან ამერიკულ სამხედრო მანქანას, „მერსედისის“ სალონიდან მუშტი დაუქნეს.

მაშინ გამიკვირდა, დემოკრატიის „მექას“ როგორ ან რატომ აკადრეს-მეთქი.

ახლა აღარ მიკვირს!

ჩვენც „გავიხედეთ“ ჩამოვლულ რუკის ფარდის იქით და მოწმენი გავხდით, დროსთან ერთად, მსოფლიო პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, როგორ იცვლება კონფიგურაცია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ დაფას მცირე ქვეყნების ბედზე პატიოსნად მზრუნველი „მოთამაშეები“ კი არა, ძალაუფლების მქონე „შულენები“ უსხედან!

ისევ ჩვენ სათქმელთან მოვიდეთ:

ბატონმა როინ მტრეველმა, დავით აღმაშენებლის ცხოვრების და მოღვაწეობის მკვლევარმა, თქვენი გაზეთით ჯერ კიდევ 2022 წლის 7 თებერვალს შეახსენა საზოგადოებას, რომ 2023-ში „მესისი მახვილს“, დაბადებულ 950 წელი უსრულდება და ღრმად სწამს, ამ თარიღს, „ქართველი საზოგადოება, ხელისუფლება და შესაბამისი უწყებები, ჩვენი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღირსეულად აღნიშნავენ, ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ დავით აღმაშენებლის იუბილე ფართოდ აღინიშნოს მთელ მსოფლიოში“.


„ნეტარ არიან მორწმუნენო“, გაცენებათ ხელისუფალთა დუმილით გულმოცემულ ნაპრეზიდენტალის თანამგრძობლებს.

ბატონმა როინმა (კიდევ ერთხელ) დროულად ჩამოკურა საშელს, დაარისხა ზარი იმათ გასაკონად, ვინც მოვალეა და ხელეწიფება მიაგოს კვისარს კვისრისა!

ამ მოწოდებით, ღვაწლმოსილმა ისტორიკოსმა, საქართველოს მაჰისცემაზე მიყურადებელი მოთელი საზოგადოების გულისთქმა გაახმაურა.

კაცი იმედით ცოცხლობსო! იქნებ ინგოს ღმერთმა და, დავითმა, 950 წლისთავე მიიწე ცხენი დედაქალაქისკენ, თავის „კანონიერი საუფლოსკენ“ შემოაბრუნოს!

**პანო ჩხიკვაძე,**  
**პროზული პრემიის ლაურეატი,**  
**ღირსების ორდენის კავალარი**  
28. ნოემბერი, 2023



# განასლავული აბრეშუმის სახალგაწიფო მუზეუმი

თბილისის განვითარების ფონდმა, პროექტ „ახალი ტფილისის“ მუზეუმების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ამრეშუმის სახელმწიფო მუზეუმის სარდაფის რეაბილიტაცია დაასრულა. დასრულებული და მიმდინარე სამუშაოებს დედაქალაქის მერი კახა კალაძე გაცნო.

ვა იქითა მიმართული, რომ ავთენტურობა შენარჩუნდეს. თითოეულ დეტალს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და ზაფხულიანი ბოლოს, შემოდგომაზე სამუშაოები მთლიანად უნდა იყოს დასრულებული“, – განაცხადა კახა კალაძემ.

სამუშაოებს ასევე გაეცნენ თბილისის მერის მოადგილე ირაკლი მენდელიანი, თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი პაპავა და დიდიბის რაიონის გამგებელი ვლადიმერ ძნელაძე.

რეაბილიტაციის ფარგლებში შენობა გააძვირდა, აღდგა კომუნიკაციები, მოეწყო სადარბაზო და გათბობის სისტემები, დაიგო ფილემი, გაიწმინდა აგურის კედლები, დამონტაჟდა შიდა რუკის კარები და ფანჯრები, მოეწყო სველი წერტილები და სართული სრულად ადაპტირებულია შპმ პირების საჭიროებებზე. ამჟამად მიმდინარეობს ფასადის გაწმენდისა და სარესტავრაციო სამუშაოები.

ამრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია სხვადასხვა უნიკალური კოლექცია, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის კავკასიისა და მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში ამრეშუმის ქსოვილების წარმოებასა და გამოყენებაზე ისტორიული, სახელოვნებათმცოდნეო, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. ქართული კოლექცია თავისი მნიშვნელობით უნიკალურია და მას ანალოგი არ მოეძებნება. საველისხნოა გლობალური მნიშვნელობის მქონე ამრეშუმის პარკებისა და ძაფების ნიმუშები. პარკების უმრავლესობა მუზეუმში მე-19 საუკუნის ბოლოს შემოვიდა, რაც ორმაგად მნიშვნელოვანია ბიოლოგიური და იზოტოპური თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ეს კოლექცია ინახავს დადასტურებულ, დათარიღებულ და ლოკალიზებულ, დაუმუშავებელ ამრეშუმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მეორე მხრივ მასში დაცულია ინდუსტრიალ-იზაციამდელი ჩინეთის, იაპონიის, ცენტრალური ამიის, ოსმალეთის და დასავლეთ ევროპის მემარეშუმების ფერმებიდან წამოღებული ადგილობრივი გენეტიკური კოდი.

შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მე-19 საუკუნით თარიღდება და ხელოვნების გამოჩენულ ნიმუშად მიიჩნევა.

პროექტი „მოლიანად ან ნაწილობრივ ფრანკოფონი დედაქალაქებისა და მტროპოლიების მერებისა და ხელმძღვანელთა საერთაშორისო ასოციაცია“ („AIMF“)–ის თანადაფინანსებით ხორციელდება.



„აქ იყო უმძიმესი მდგომარეობა. პირველ რიგში, ჩატარდა გამაგრების სამუშაოები, რადგან, ფაქტობრივად ინგრეოდა არსებული შენობა. შეუძლებელი იყო სარდაფში ჩასვლა. იყო წყლების პრობლემა, რომელიც აზიანებდა შენობას. დღეს უკვე სარდაფი მოწესრიგებულია და მოწყობილია სადარბაზო სისტემა. დღესდღეობით მიმდინარეობს შიდა სარემონტო სამუშაოები და ხორციელდება ფასადის რესტავრაცია. მოგვხსენებათ, ეს არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და მთელი ძალისხმევა“

# სინიკური, აგრესიული რუსეთი!

**(მართხა გვარამია)** პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძე დარწმუნებულია, რომ ლაგერის თითოეული განცხადება გათვლილია შემდეგ: „გამოიწვიოს დემონი-ენტაცია ქართველ საზოგადოებაში, გააჩინოს მეტი ბზარი საზოგადოებასა და მთავრობას შორის (რასაც სამწუხაროდ, ვერ ხედავს „ქართული ოცნება“), კიდევ უფრო დაბლა დასცეს მთავრობის ისედაც დაცემული ავტორიტეტი, რადგან ძლიერი ინსტიტუტები რუსეთის არაფერში სჭირდება“.


ამასთან, ფხალაძე ფიქრობს, რომ საქართველოსთან მიმართებაში მსგავსი სიტუაციები ორი მიზეზით არის განპირობებული:

საქართველოს ორჭოფული პოზიციონირება; პარტნიორებთან საქართველოს ურთიერთობების საგრძნობი გაუარესება.

„რუსეთის ავტორიტარული რეჟიმი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მსგავსი რეჟიმი, დასასრულის დროს მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება მეტის გაფუჭება მოახდინოს ყველგან, სადაც ხელი მიუწვდება. იმ ფონზე, როდესაც მას სერიოზული პრობლემები აქვს უკრაინაში (ომი, რომელიც პუტინის განცხადებით, 3 დღეში უნდა დასრულდებოდა, ერთი წელი ხდება და ვხედავთ, რომ უკრაინა ნელ-ნელა, მაგრამ დამატებითად იღებს უპირატესობას საკუთარ ხელში), რეჟიმს უპირველესად, შიდა აუდიტორიისთვის სჭირდება ჩვენება, რომ ოპერირებს სხვადასხვა მიმართულებით და ზეგავლენას ახდენს მსოფლიო თუ არა, რეგიონულ პოლიტიკაზე მაინც. და თუ ვერ ვხედავთ უკრაინას, ნახოს უფრო სუსტი და მას მიაყენოს ზიანი. ამ შემთხვევაში საქართველო სამწუხაროდ, სუსტად ჩანს არა იმიტომ, რომ პატარა ქვეყანაა, არამედ, ბევრ რამეში ჩვენი, რბილად რომ ვთქვათ, ორჭოფული განცხადებების თუ ნაბიჯების გამო. და რუსეთმა თავი მეტად თამამად იგრძნო საქართველოსთან მიმართებით. პარტნიორებთან ურთიერთობების საგრძნობი დაძაბვა ცხადია, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობას ასუსტებს“, – ამბობს „აქცენტთან“ ფხალაძე და დასძენს, რომ ამას ემატება რიგი ორგანიზაციების „რომის პაპზე მეტი კათოლიკობა“, რიგი თხოვნებით ვიბიტები მოსკოვში:

„რუსეთს რაც მეტს სთხოვ, მით უფრო ცინიკურად და აგრესიულად გვეყრება. ეს ვერ გავაიზრეთ ამ 300 წლის განმავლობაში. ის სარგებლობს ვითარებით, თორემ რეალურად რომ შევხედოთ რიტორიკის დილა ნაბიჯებს, არც არაფერი ხდება – რუსეთი საქართველოს არც არაფერს სთავაზობს, რაც ამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. ფრენების აღდგენა ყველაზე მეტად სწორად რომ რუსეთის მოქალაქეებს სჭირდება – მათ აქვთ პრობლემები ქვეყნიდან გასვლის, ბინების გადატანის... საქართველოში ისინი უვიზოდ შემოდიან, საქართველოს მოქალაქისთვის კი ჯერ ერთი, ნაკლები შესაძლებლობაა იმ ბაზარზე და მორჩევი, მთელი რიგი ბიუროკრატიული პროცედურებია. ამ-დღედად, ფრენების საკითხი რუსეთის ინტერესებშია. მაგრამ რუსეთი ცინიკური სახელმწიფო იმიტომაც, როგორც კი დაინახავს მისზე სუსტს, საკუთარი ინტერესებიც ისე თარგმნოს, თითქოს მომავალი მსხვერპლისთვის სჩადის რაიმე სასარგებლოს. რუსეთი არ არის დასავლეთის ცივილიზებული სამყაროს იმ ტიპის სახელმწიფო, რომელიც გელაპარაკება როგორც თანასწორს. მისი მთელი სტრატეგიაა, რომ მორჩევი მხარეს საკუთარი უპირატესობა აგრძნობინოს, დააშინოს და შემდეგ ამ პოზიციამ დაეყრდნობა. ეს ქედმაღლური და შექარის ტონი დაუბრუნებელი ამ ხაზის გაგრძელებაა, რასაც ჩვენ ვუწყოთ ხელს იმით, რომ არ ვდგამთ შესაბამის ნაბიჯებს, არ გვეტყობა სიმტკიცე. ვიმეორებ, ჩვენი შეცდომაა, რომ ვერ ვისწავლეთ, თორემ რუსეთი რაც იყო, იგივე დარჩა!“, – წუხს ფხალაძე.

ამასთან, ანალიტიკოსი იზიარებს საქართველოს პრეზიდენტის პოზიციას, რომ „საქართველოს საკითხი მაგიდაზე უნდა იყოს, რათა არავინ იფიქროს, რომ ეს ომი შესაძლოა, მოგვარდეს ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის გასვლის გარეშე“, თუმცა ქვეყნის მთავარსარდალს შეახსენებს, რომ არა ექსპერტი, არამედ ოფიციალური პირია და შეფასების ნაცვლად მოქმედებით უნდა იყოს დაკავებული – „საჭიროა აქტიური კომუნიკაცია პარტნიორებთან უმაღლეს დონეზე“. ხოლო რაც შეეძლება დამოკიდებული გავხდებით რუსეთზე, მათ შორის, ეკონომიკურად, ფხალაძე დარწმუნებულია, რომ გაიყვანება ცინიკური, მკაცრი, მომთხრობი, ავტორიტარული განცხადება მოსკოვის ტონი და თუ თბილისში პოლიტიკა არსებული სვლთა განაგრძობს, „კარგს არც არაფერს უნდა ველოდეთ“. „ახლა რუსეთთან დამაკავშირებელი ახალ მაგისტრალზე კი არა, დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავებაზე უნდა ვსაუბრობდეთ!“...



# უკრაინულ „შავ სიაში“ 4 ქართველი

უკრაინის ხელისუფლებას დიდი ხანია „შავი სია“ აქვს, სადაც ის აღაშინავს არიან თავმოყრილი, 3063 უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისთვის რაიმე საშიშროებას წარმოადგენენ. „შავ სიაში“ 210 აღაშინავს.

სიაში 4 ქართველიც მოხვდა: ქართული წარმომადგენლობის მომღერალი გრეგორი ლევისი, მალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე, მხატვარი და მოქანდაკე ზურაბ წერეთელი, მომღერალი მესარიონ შვეტიციანი.

სია უკრაინის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამსახურს, უკრაინის უშიშროების სამსახურისა და ტელევიზიისა და რადიომრავალმხრივი უკრაინის ეროვნული სამსახურის მიმართულებით საფუძველზე, შეადგინა.

კულტურის სამინისტრო ასევე იუწყება, რომ „კინემატოგრაფიის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო კინოს სააგენტო უნდა ამზადებდეს დის-ტრიბუტისა და ჩვენებაზე თუ ამ ფილმში მონაწილე მსახიობი ან ხელოვანი „შავ სიაში“.

სიაში მოხვდნენ: რუსი მომღერალი ნადეჟდა ბაბკინა; მეწარმე, მოსკოვის ყოფილი მერის იური ლუკოვის ცოლი ელენა ბატურინა; მსახიობი სერგეი გეზრუკოვი; მსახიობი მიხეილ ბოიარსკი; მომღერალი ოლეგ ვაშკინი; დირიჟორი ვალერი გერგიევი; ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე; რუსი პოლიტოლოგი ალექსანდრე ლუგენი; მომღერალი ლარისა დოლინა; რუსი ჟურნალისტი დიმიტრი კისილიოვი; ქართული წარმომადგენლობის მომღერალი გრეგორი ლევისი – ლეფსვერძე; რუსისორი ნიკიტა მიხალკოვი; კომპოზიტორი ალექსანდრე როზენბაუმი; ამერიკელი მოქილონი რიი ჯონსი; მსახიობი სტივენ სიგალი; რუსი წამყვანი ვლადიმერ სოლოვიოვი; რუსისორი ოლეგ ტაბაკოვი; ქართველი მხატვარი და მოქანდაკე ზურაბ წერეთელი; რუსი როკ-მომღერალი იულია ჩიჩერინა; ქართველი მალერონი ნიკოლოზ ცისკარიძე; ქართველი მომღერალი მესარიონ შვეტიციანი.

# ევროპული აბაჯდა! თითქმის ყველა სფეროში სანდო ეტაპზე პარტი და „გარკვეული“... სინამდვილეში „გაუარკვეული“ დონე გვექონია!



**(მესამე გვარამია)** განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს IT სექტორში აღმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებას. ევროკომისიის შეფასებით, საქართველოს აქვს გარკვეული დონის მომზადება სატრანსპორტო პოლიტიკის სფეროში. ქვეყნის სტრატეგია სატრანსპორტო კანონმდებლობის შემდგომი შეთანხმება, დანერგვა ყველა სექტორში და ხელისუფლების ყველა დონეზე. საგზაო უსაფრთხოების კუთხით, საქართველო უნდა გააძლიეროს თავისი აღმინისტრაციული შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურის მოვლა და დაიწყოს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ავარიებისა და დაღუპულთა რაოდენობის შესამცირებლად.

ენერგეტიკული სფეროს შფუასებისა, ევროკომისიის დასაბუთებით, რომ საქართველო ენერჯეტიკის სფეროში გარკვეული დონის მომზადება აქვს. ქვეყანა უნდა გააძლიეროს შესაბამისი თანამართლობა და კორორდინაცია მისი ფრაგმენტული, არათანმიმდევრული საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით. მთლიანობაში, საქართველო უნდა გააძლიეროს თავისი ძალისხმევა ფუნდამენტური შიდა გარემოს ჩამოყალიბებისა და რეგიონულ გარემო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. საქართველოსთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება მისი ენერჯეტიკული სანაწარმის გაყოფა, ისევე, როგორც ნავთობის მარაგების შექმნა.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო აქვს გარკვეული დონის მომზადება ტრანსპორტული ქსელების სფეროში. საკანონმდებლო ბაზა უნდა შესაბამისობაში იქნებოდეს ტრანსპორტული ქსელების ტრანსპორტისა და ტრანსპორტული ქსელების ენერგეტიკის რეგულაციების სატრანსპორტო, ენერგეტიკული პროექტების განხორციელებლად. სატრანსპორტო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა არასაკმარისად არის განვითარებული. დაკავშირებადობის რეფორმის დონისძიებების განხორციელება საქართველოში ნელია.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში მომზადების აღრუელ ეტაპზეა. დონა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება არ ითვალისწინებდა რაიმე დაახლოებას. საქართველოს მოუწევს, სრულად გაუთანაბრდეს ევროკავშირის კანონმდებლობას სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების სფეროში და ჩამოაყალიბოს სტრუქტურები, სისტემები და აღმინისტრაციული შესაძლებლობები, რათა შეძლოს მისი ეფექტურად განხორციელება და აღსრულება.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო აქვს გარკვე-

ული დონის მომზადება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანტარული პოლიტიკის სფეროში. არსებობს საკანონმდებლო დაახლოებასა და ეფექტურ განხორციელებას შორის სხვაობის გაღრმავების რისკი. საჭიროა სურსათის უვნებლობის განხორციელების ყოვლისმომცველი სტრატეგია, პოლიტიკის გადახედვა და ინსტიტუციური რეფორმები. მნიშვნელოვანი შეფერხებებია ახალი კანონმდებლობის არაეფექტიანი დანერგვა, ზოგიერთი მათგანის შესუსტება და კონტროლის შემცირება.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო რეგიონული პოლიტიკის სფეროში მომზადების აღრუელ ეტაპზეა. რეგიონული პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი თანხვედრისთვის საჭიროა ამ პოლიტიკის ეფექტურად განხორციელება. ქვეყნის სტრატეგია აღმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერება ევროკავშირის ფონდების პროგრამების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების კუთხით ევროპის სამეზობლო ინსტიტუტის ტრანსპარანტული თანამშრომლობისა და ინტერაგენერული თანამშრომლობის პროგრამების გამოყენებაზე დაყრდნობით. რეგიონული განვითარება და ერთიანობა რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. საქართველო ეფექტური კოორდინაცია ხელისუფლების დონეებს შორის შესაბამისი სტრატეგიული, დაგეგმვის დოკუმენტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით. საჭირო იქნება მეტი შესაძლებლობები ევროკავშირის ფონდების პროგრამების კონტექსტში დაგეგმილი ინტერვენციების პრიორიტეტიზაციისთვის.

ევროკომისიის შეფასებით, საქართველო ზომიერად არის მომზადებული საგარეო ურთიერთობების სფეროში. მას აქვს კარგი აღმინისტრაციული შესაძლებლობები საგარეო კომერციულ ურთიერთობებში ვალდებულებების მართვისთვის და, როგორც მსოფლიო საგარეო ორგანიზაციის წევრი, უკვე მიჰყვება ძირითადი მრავალმხრივი საგარეო შეთანხმებების დიდ ნაწილს, რომელსაც ევროკავშირი ასევე მისდევს. კიდევ მეტია გასავეთმელო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ორმაგი დანიშნულების ექსპორტის კონტროლისა და საექსპორტო კრედიტებზე. საგარეო, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის შეფასებისას, ევროკომისიის შეფასებაში აღინიშნულია, რომ საქართველო ამ მიმართულებით ზომიერად არის მომზადებული. საჭიროა დამატებითი ძალისხმევა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში კონვენციების გასაზრდელად, კერძოდ, ევროკავშირის განცხადებებთან და გადარეგულირებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ასევე შემავარდნის ზომების გამოყენებისას, როცა და სადაც ეს საჭიროა.

მედიური ზურთი

წლეულსაც, გაისაღაც

ამ დღეებში დაბუსტდა, რომ როგორც წლეულს - 24 იანვრიდან 11 ივლისამდე, - ისე გაისაღაც 20-წლამდე მოწინააღმდეგეთა შორის მსოფლიო ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკულ კონტინენტზე უმასპინძლებს.



დაეძინა, რომ მუნიციპალის ბოლოადგილოსანი მომავალ სეზონში ალაფაზე დაქვეითდება. ოსნაგ ტყემალაძე (საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი): სამხრეთ აფრიკა ჩვენი პარტნიორი მომლოაა და მოხარული ვართ, იმ მორიგ ჯერზე ჩასვლის შესაძლებლობა რომ მოგვცემა.

ამაჯ, იმაც

პინყაბთ ეროვნულს



პრისტალგეთ ეროვნული ლიგის უმაღლესი დივიზიონი მართონულ დისტანციას სფფ-ს პრეზიდენტად ერთხმად არჩეული ლევან კობიაშვილის თავაჯცობით 25 თებერვლიდან შეუდგება სამტრედია - თელავისა და გორის დილა - თბილისის დინამოს შეხვედრებით, ხოლო მეორე დღეს ითამაშებენ გავრა - წყალტვობის სამგურალი, საბურთალო - ქუთაისის ტორპედო და მათუმი - შუქურა. თრთვიანი შესვენება გათვალისწინებულია 9 იანვრიდან 5 აგვისტომდე.

ვენ პლენი-ოფის დაპირისპირებებს. რაც შეეხება მარნა დანერგულ სიხლეს - ვიდეოგამოწმებებს (ვარ), იგი ამჯერადაც შენარჩუნდება. ამასობაში ლეჩხთან შინ მორიგ ფიასკომდე 0:2 ხმაურიანი სენსაცია მოხდა ჩვენთვის საინტერესო იტალიის თასზე, სადაც სერია ა-ს აუტსაიდერმა კრემონემ სტუმრად რომას მოუგო - 2:1 და ნახევარფინალში გავიდა. ტრავმირებულ ლუკა ლოროსეოს არ უთამაშია. მოგესვენებთ, რომ დამდეგ ზაფხულში რუმიწითან ერთად ვერობის ახალგაზრდულ ჩემპიონატს უმასპინძლებთ, სადაც ჯგუფურ რაუნდში „ჯვაროსანთა“ მეტოქეები პორტუგალიის, ნიდერლანდებისა და ბელგიის გუნდები იქნებიან. ამ დღეებში გამართულმა წილისყრამ უკვე ვერო - 2025-ის შესარჩევი ტურნირის „ჯგუფში რამაზ სვანაძის შეგირდთა ოპონენტებად ისევ ნიდერლანდები, ასევე შვედეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, მოლდოვა და გიმრალბარი დაასახელა. ჩვენებში მრძოლაში გაისაღაც ჩაემგებთან.

მშობნ იტალიის სერია-ა-ს სპეცია-ნაპოლი 0:3. კვარაცხელიამ ანგარიში პენალტით გახსნა და შემდეგ საგოლე პასი შეასრულა.

ფარის ძვეზ

სანახაობის კონტურები

როგორც მოგახსენებთ, ყველა ვარსკვლავის მატრი კომპლექსურ რამდენიმე დღიანი შოუ გახლავთ სხვადასხვა კონკურსების თანხლებით, სეზონის უმნიშვნელოვანესი საკალათბურთო ღონისძიების კულმინაციას კი ნბას ელიტის მონაწილეობით გასამართავი შეხვედრა წარმოადგენს, რომელსაც 19 თებერვალს სოლტ-ლეიკ-სიტი უმასპინძლებს.



ნიკოლა იოკიჩი (დენვერი), ზაიონ უილიამსონი (ნიუ ორლეანი), სტეფ კარი (გოლდენ სტეტი), ლუკა დონჩიჩი (დალასი). რაც შეეხება სათადარიგოებს, მათ მოგვიანებით გამოაცხადებენ, რის შემდეგაც ჩატარდება კაპიტნების დრაფტი - ანტენტოკუნმპო და ჯეიმსი რივრეგობით აირჩევენ მოთამაშეებს და დააკომპლექტებენ საბოლოო ვარაინტებს.

ქ. 7 მ.), დენიელსი (8 ქ.), სემენი (8 ქ.), დიგსი (7 ქ.), გილსონი (6 ქ. 9 მ.), ნიუტონი (6 ქ.), ფორესტი (5 ქ.), ლინჩი (2 ქ.). ითამაშა აგრეთვე უეირანი. მწვრთნელი - ბექა წიფრივაძე. საუკეთესო მოთამაშე - გუგა პატაშური; ჩატენების კონკურსი - კაილ რილი; სამქულიანების კონკურსი - მიხეილ მენიშვილი. და ბოლოს: ჯვაროსანთა კაპიტნის - თორნიკე შენგელიას იტალიური კლუბი ვინტუსი განაგრძობს წარუმატებლად დაწყებულ წვროლიგაში ვითარების გამოსწორებას და პლენი-ოფში გასვლას. ამჯერად ბოლონიელებმა საფრანგეთში ვილერმანს სძლიეს - 77:64 და ბალანსით 11-12 სატურნირიო ცხრილში მე-11 პოზიციას იკავებენ. ქართველი ლეგონერის სტატისტიკა: 10 ქულა, 4 მოხსნა, 3 პასი. მისი გუნდი დამდეგ კვირაში მარსელთან უმასპინძლებს.

აღმოსავლეთი იანის ანტენტოკუნმპო (მილუოკი), კევინ დურანტი (ბრუკლინი), ჯეისონ ტეიტუმი (ბოსტონი), დონოვან მიტჩელი (კლივლენდი), კაინი ირვინგი (ბრუკლინი). დასავლეთი ლებრონ ჯეიმსი (ლეიკერსი),

ორიოდ სიტყვით



ქიურლ ყველა ტიტულის მფლობელმა ლაშა შავდათუაშვილმა (73 კგ) ზედიზედ მეორედ მოიგო პარიზის პრესტიჟული გრანდ სლეში. ტატამის ქართველმა დიდოსტატმა ზედიზედ სძლია დომინიკელ, იტალიელ, ყაზახ და სამხრეთკორეულ მეტოქეებს, ფინალში კი ნავსი გატეხა ბრაზილიელ დანიელ კარვინთან, ვისთანაც აქამდე ორივე მრძოლა წაგებული ჰქონდა. ქილაოკა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ახალი სეზონი ზაგრებში გამართულ სარეიტინგო ტურნირში მოპოვებული 5 მედლით გახსნა: ვერცხლი - ავთანდილ კენჭაძე, მინიან მაისურაძე; მრინჯაო - ბექა ბუკიაშვილი, გორგი ელბაძეძე, ვლადიმერ გამყრელიძე. ხორვატულ ხალიჩაზე არ გამოხულან ჩვენი კლასიკოსები. ქაღრაქი საქართველოს ქალ-ვაჟთა

ჩემპიონატები (საპრიზო ფონდი - 8-8 ათასი ლარი). მანდილოსნები (17 მონაწილე). მერი არაბიძე (მას ნანა იოსელიანის თასი გადაეცა), მაკა ფურცელაძე, მირანდა მიქაძე. ვაჟები (21 მონაწილე). დავით ჯოჯუა, გაიბ ნიგალიძე, ლევან ფანცულაია. აღსანიშნავია, რომ ეს ტურნირები შეეცხარეული სისტემით - 9 ტურად რაპიდში გამართა. ფორკულა - 1 38 წლის მრითანელი ლეგენდა ლუის ჰემილტონი და ფორმულა - 1-ის გერმანელი საჯინიბო მერსედესის ახალი კონტრაქტის მიჯნასთან არიან, რომლის მიხედვითაც 7-გზის ჩემპიონი პილოტის ხელფასი 38-დან 49 მილიონამდე გაიზარდება. იმ შემთხვევაში, თუ ჰემილტონი მერვე ტიტულს მოიპოვებს, მონესის სახით დამატებით 27 მილიონ დოლარს მიიღებს. ახალი კონტრაქტი 2025 წლის სეზონის ბოლომდე გაფორმდება.

40 დღის წინათ... სიომა ბარქაია ...თუ შეიძლება ასე ითქვას, სზაურიანად ითამაშა, ქართულ ფეხბურთში მთელი ეპოქა შექმნა და სახელოვანი კარიერის დასრულების შემდეგ ჩრდილოში გადაინაცვლა. დიას, ვლადიმერ ბარქაიას სათქმელი უკვე მწვანე მინდორზე ჰქონდა ნათქვამი და უხმაუროდ ცხოვრებას ამჯობინებდა. ზღვისპირელ რაინდს ესეც გამოარჩევდა ზოგიერთი კოლეგისაგან. ხომ არ გგონიათ, ვინმეზე ნაკლები ინტელექტით, წიგნიერებითა თუ იუმორით იყო დაჯილდოებული - არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, საზოგადოების ღირსეული წევრი ბრძანდებოდა და ზედმეტი არაფერი უყვარდა. მშობლიური გაგრიის მონატრებით განერქობა ამ 40 დღის წინათ ცოდვა-მადლიან სანუთროს და უდიდესი ტკივილი დაგვიტოვა გულეებში. ახლან აკადემიური წრეებისა და მისი ნიჭის თავგანისმცემელთა ინიციატივით საამაყო თანამემამულე საბურთალოს ახალ პანთეონში გადაასვენეს და კიდევ ერთხელ აპკურეს ალალი ცრემლი.

ნათელა ვასაძე, შვილები მარიკა, ირინა დანელი-  
ები, სიძეები ზურაბ შვაცაბაია, გიორგი კარტოზია  
ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებიან შვილისდა-  
რი, სანათესაოსა და სამეგობროს უსაყვარლესი პი-  
როვნების, ძმისშვილის

### ნირო იუზას ასული ვასაძის

გარდაცვალებას.



ვანტანგ (ვალდარ) ვეფხვაძე, თემურ ვეფხვაძე,  
ჯუმბერ ნიკოლაიშვილი ოჯახებით ღრმა  
მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა შესა-  
ნიშნავი პიროვნება, ღირსეული და გულისხმიერი  
ქალბატონი

### მზია მდივანი- ტოროშელიძისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## კათილუმობილებითა და ღირსებით შემკული პროფესიონალი

87 წლის ასაკში გარდა-  
იცვალა პურპროდუქტების  
დარგის გამორჩეული მუშა-  
კი, დიდი პროფესიონალი,  
უკეთილშობილესი პიროვნება  
ნოდარ მურღულია.  
იგი წლების განმავლობაში  
სოხუმის №3 პურის ქარხნის  
დირექტორი გახლდათ. ამ-  
ვე დროს დაინიშნა „აფხაზ-  
პურის“ გენერალური დირ-  
ექტორის მოადგილედ.  
იყო შპს წარმოება „კოლო-  
სის“ დამფუძნებელი და  
ხელმძღვანელი. აღსანიშნა-  
ვია, რომ ნოდარ მურღული-  
ას, ყველას გვერდში მდგომ  
ადამიანს, გამორჩეულს კაც-  
თმოყვარეობითა და კოლ-  
ური სტუმარ-მასპინძლო-  
ბით, სოხუმის დაცემის ბო-  
ლო დღეს მოუხდა მშობლი-  
ური ქალაქის დატოვება და  
ჭუბურის უღელტეხილით,  
ათასობით, სამშობლოში  
დევნილად ქვეულ ადამიან-  
ებთან ერთად გამოაღწია  
სამშვიდობოს.

### ნოდარ მურღულიას ხსოვნა



თბილისში დაფუძნებულ-  
მა პროფესიით განაგრძო მუ-  
შაობა – „პურპროდუქტების“  
კორპორაციამ თბილისის №8  
პურის ქარხანაში დაასაქმა,  
როგორც გამორჩეული პრო-

ფესიონალი. შემდგომში  
მუშაობა განაგრძო კრწა-  
ნისის სამთავრობო რეზი-  
დენციაში წარმოების უფ-  
როსის მოადგილედ.

იშვიათი კეთილშობი-  
ლებითა და ღირსებით  
შემკულია პიროვნებამ დე-  
დაქალაქშიც ყველას შეაყ-  
ვარა თავი. სამწუხაროა,  
რომ იგი ვერ მოესწრო  
მშობლიურ სოხუმში დაბ-  
რუნებას, რაც სიცოცხლის  
ბოლო წუთამდე ოცნებად  
ჰქონდა გადაქცეული.

ღმერთმა ნათელში ამ-  
ყოფოს ამ დიდებული ადა-  
მიანის სული.

საპარტეზლოს  
პურის მრეწველთა  
კავშირის სახელმძღვანელო

### იური ოსიპოვი,

პურპროდუქტების მინისტრის  
ყოფილი მოადგილე;

### მალხაზ დოლიძე,

პურპროდუქტების ასოციაციის  
თავმჯდომარე.

## გამორჩეული მსახიობი ჯემალ ღალანიძე

მწუხარებას გამოვთქვამ ქართული კინოსა და თეატრ-  
ის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის, ჯემ-  
ალ ღალანიძის გარდაცვალების გამო.

ჯემალ ღალანიძემ თავისი გამორჩეული კეთილშო-  
ბილებით, ნიჭითა და შემოქმედებით უამრავ თაყვანის-  
მცემელს არაერთი საყვარელი პერსონაჟი აჩუქა. თანა-  
ვუგრძნობ მის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

ირაკლი ღარიბაშვილი



## ჯემალ ღალანიძის არდასვენება

გარდაიცვალა ყველასთვის საყვარელი მსახიობი, საქარ-  
თველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე  
ჯემალ ღალანიძე.

ბატონი ჯემალი იყო კეთილშობილებით, ნიჭითა და შემოქ-  
მედებით გამორჩეული პიროვნება.

კინოსა და თეატრში ნათამაშევი აქვს მრავალი მთავარი და  
სახასიათო როლი, რითიც სამუდამოდ დაამახსოვრა და შეაყ-  
ვარა თავი ქართველ მაყურებელს.

### საქართველოს კულტურის ფონდი

მწუხარებას გამოვთქვამს ბატონი ჯემალის გარდაცვალების გამო,  
უსამძიმარებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

## სიყვარული მიასილავს სასუფევლის გზაზე...

ზეციურ საქართველოში ამალდა ქვეყნის კიდევ ერ-  
თი საამაყო შვილი, ქართული თეატრისა და კინოს გა-  
მოჩენილი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი,  
საპატიო თბილისელი, მრავალი სხვა ნოდებებით და  
ჯილდოებით აღიარებული შემოქმედი ჯემალ ღალ-  
ანიძე. თუმცა, როგორც თავად მიაჩნდა, „ცხოვრებაში ყვე-  
ლაზე დიდი ჯილდო და უდიდესი საჩუქარი მაყურებლის  
სიყვარულია“. ახლაც, ამ დიდ ხელოვანს, ეს სიყვარული  
მიაცილებს სასუფევლის გზაზე.

სცენაზე და კინოში დაუვინყარი როლების შესრულე-  
ბით, ლალი იუმორით, უბრალოებით, ადამიანებთან თბი-  
ლი ურთიერთობით დაიმსახურა საყოველთაო აღიარ-  
ება და პატივისცემა. ასე გაატარა მან მთელი შეგნებული  
ცხოვრება. ინდივიდუალიზმით გამორჩეული არტისტის  
შემოქმედების მიღმა არც სპორტი დარჩენილა – საყვარ-  
ელი მსახიობი ფილმში „ფეოლა“ იხილა მაყურებელმა.

ჯემალ ღალანიძის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარ-  
ჩება მისი თაყვანისმცემლების გულეში. უფალმა დაამ-  
კვიდროს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

### გურამ სალბარაძე,

ფიკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს“ თავმჯდომარე,  
საქართველოს ვეგერან მოჭიდავეთა კავშირის თავმჯდომარე.

## ღიზინერ კაკო რბანის გარდაცვალება

მსკანეთში დაბადებული ფრანგი ღი-  
ზინერი მოდის სახელ Paco Rabanne-ის  
დამფუძნებელი 88 წლის პაკო რბანის  
(ფრანსისკო რბანენდა კუერვო) საფრან-  
გეთში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა.



## პაკისტანის ყოფილი პრეზიდენტი პლესრულა

გენერალი პერვეზ მუშარაფი ხანგრძლი-  
ვი ავადმყოფობის შედეგად 79 წლის ას-  
აკში გარდაიცვალა. იგი ხელისუფლებაში  
1999 წლის სახელმწიფო გადატრიალებ-  
ის შედეგად მოვიდა. ის პრეზიდენტის პოსტს  
2001-2008 წლებში იკავებდა.

2008 წელს ის არჩევნებში დამარცხდა, რის შემდეგაც  
ქვეყანა დატოვა. 2013 წელს მუშარაფი დაბრუნდა პაკის-  
ტანში არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა და-  
აკავეს და თავისი კანდიდატურის დაყენება აუკრძალეს. მას  
სახელმწიფო ლაღატისთვის წაუყენეს მრავალი და დაუსწრებ-  
ლად სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა ერთი თვის შემ-  
დეგ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა.





# ჩემი დარდი და ნატვრა

იდეალები ვცალე ყანჩივით, ცხოვრება მაინც ძალით მიმათრევს; ბრძოლის უინი მკლავს მთების არჩივის ანწუხელიდის თავგანწირვამდე!

სააკადისდარ გმირებს ვალმერთებ, - დედა-სამშობლო ფეხზე დგებოდა; ბრძოლის ველი თუ ვერ დამაბედეს, ნეტავ პაატას ბედი მრგებოდა!

დიდგორის გორზე დარჯობილ მახვილს ვკოცნი და... თანაც ცრემლი ჩამომდის, - აფხაზეთისა ცოცხლად მკლავს დარდი, ვეღარ ჩავსულვარ სამაჩაბლოში(!)...

„მესიის მახვილს“ გამოვთხოვ შველას, ძალას და რწმენას კაცით კაცამდე; ჩემი სამშობლო კვლავ გაშლილიყოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე!!

უშანგი ჯანგირაშვილი

ბორჯომი. 571 91 11 90.

**P.S.**

აკადემიკოსმა რომ მფრინველმა მოითხოვა, რომ 2023 წელი გამოცხადდეს დავით აღმაშენებლის წლად!

რასაკვირვებელია, უნდა გამოცხადდეს! რატომ დუმს მთავრობა?!

# 8 თებერვალს, გელათში!

8 თებერვალს, დავითობას, გელათში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღრუბალ-კურთხევით, გაიმართება მფრინველთა კონგრესი. წლიური კონგრესის სახელია დავით აღმაშენებლის დაბადების 950 წლისთავს.

ჩვენ ამ ეტაპზე, უპირველეს საქმედ მიგვაჩნია ვისაუბროთ ქვეყნის ეკონომიკის მომავალზე, ადამიანების დასაქმებზე, ემიგრანტთა პრობლემებზე და მათ მონაწილეობაზე ქვეყნის ცხოვრებაში. ამასთან, გაავრცელებთ საუბარს „ქართული დოქტრინის“ შესახებ; „ყოველთა ქართველთა საქართველოა საქართველო და საქართველოს მეგობართა“ მსოფლიო კონგრესის ახალი პრინციპებით ჩატარებაზე; დავით აღმაშენებლის ძეგლების მდგომარეობის შესახებ.



თან დაკავშირებით ისტორიული სამართლიანობის აღდგენაზე; „სახელმწიფო კაცების საკრებულოზე“.

ეს იდეა პატრიარქს ეკუთვნის, რომლის ანალოგიც ჩვენს ისტორიაში არაერთია, განსაკუთრებით, ვახტანგ მეექვსის „სწავლულ კაცთა კომისია“. ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს პრინციპულ განწყობას, რომ საქართველოში კონგრესებისა და უნდა დასრულდეს. ხელი შევუდგეთ, ხალხისა და ეკლესიის ერთიანობა, მათი ჰარმონიული თანამშრომლობა არის ქვეყნის წარმატებით უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი. ვფიქრობთ თქვენი მეთვლეყისთვის, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, საინტერესო იქნება გელათის კონგრესის მონაწილეობის მიღება.

გიწვევთ ყველას! კონგრესი გაიხსნება 14 სთ-ზე.

პატივისცემით  
**ირაკლი შონია,**  
მფრინველთა კონგრესის სეპარტი

# ეკთიმე აღმაშენებლის ხსენების დღე

ეკთიმე აღმაშენებლის ხსენების დღე მის მშობლიურ რაჭაში განსაკუთრებულად აღნიშნეს. ამბროლაურის ივერის ღვთისმშობლის ხატის ტაძარში აღევლინა წირვა ნიკორწმინდის ეპარქიის მამებთან ერთად, რომელშიც მონაწილეობდნენ ამბროლაურის სალოტბარო სკოლის ბავშვები, მგალობელ-მომღერალთა გუნდი, თორნიკე სხიველი და ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდი, ლევან ბერეგიძის ხელმძღვანელობით.

წირვის შემდეგ ამბროლაურის კულტურის სახლში საზეიმო კონცერტი ჩატარდა. ონის, ამბროლაურის და სამტრედიის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად შესრულეს ის უძველესი ქართული საგალობლები, რომელიც ექვთიმე კერესელიძემ გადაწერა და გადაარჩინა საბჭოთა ოკუპაციის და დევნის პერიოდში.

„ეს ბავშვები პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად არიან ექვთიმე კერესელიძის საქმის დინსეული გამგრძელებლები“, - აღნიშნა ფოლკლორის ცენტრის სალოტბარო სკოლების მიმართულების ხელმძღვანელმა, ვიორგი გაბუნიაშვილმა სიტყვით გამოსვლაში. სიმბოლურია, რომ ანზორ ერქობაძის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა პირველი სალოტბარო სკოლა ათი წლის წინ სწორედ ამბროლაურში, ექვთიმე კერესელიძის სამშობლოში გახსნა. დღეს უკვე საქართველოს მასშტაბით 30 სალოტბარო სკოლა მოქმედებს, სადაც ათასამდე ბავშვი ქართულ გალობას და სიმღერას უფასოდ სწავლობს.



# ახალი სეზონი „გაგზრდულით“ გაიხსნება

მესამეი სახელმწიფო დრამატული თეატრი 2023 წლის თეატრალური სეზონის გახსნისთვის ემზადება. რეჟისორი ნიკოლოზ სამაგვილი მამუროსტაძეს აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ შესთავაზებს.

მესხეთის თეატრის, სამხატვრო ხელმძღვანელის, ლია სულუაშვილის განცხადებით, ტრადიციულად 2023 წლის თეატრალური სეზონი დატვირთული იქნება.

„ჩვენ პირველ კვარტალში ჩავსვით აკაკი წერეთლის „გამზრდელი“ ასევე საბავშვო სპექტაკლი „მანანტა“. ჩვენს მამუროსტაძეს მიმდინარე თეატრალურ სეზონზე შევთავაზებთ ქართველი დრამატურგების ვოდევილებს. გვაქვს ახალგაზრდა რეჟისორებთან მოლაპარაკება. იმის გამო, რომ დღე-დღეზე ველოდებით მესხეთის თეატრის სარემონტო სამუშაოების დაწყებას, 2023 წლის მთლიან რეპერტუარზე ჯერ ვერაფერს ვიტყვით გადაწყვეტით, რადგან შესაძლოა სარემონტო სამუშაოები მალე დაიწყოს და ჩვენი გეგმები შეიცვალოს“ - განაცხადა სულაშვილმა.



# უნიკალური „ბუგატი“ აუქციონზე

ავტომობილთა და კოლექციონერებს Bugatti-ის უნიკალური მოდელების, Chiron Profilee-ს შესაძენად უკანასკნელი შანსი შექონდათ. ჰიპერქარი საფრანგეთში, Sotheby's-ის მიერ გამართულ აუქციონზე 10.7 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა.

საინტერესოა, რომ ავტომწარმოებელი Chiron-ის Profilee ვერსიის ფართომასშტაბიან წარმოებას გეგმავდა. მომხმარებლებისაგან მიღებულმა დადებითმა უკუკავშირმა კომპანიას აღნიშნული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანისაკენ უბიძგა. თუმცა, მანამ, სანამ Bugatti აღნიშნული ვერსიის განვითარებას დაასრულებდა, Chiron-ის 500-ე ეგზემპლარი მოსალოდნელზე სწრაფად გაიყიდა. მიუხედავად ამისა, Bugatti-მ Profilee-ს პროექტის გაუქმების გადაწყვეტილება არ მიიღო და ერთი საჩვენებელი ეგზემპლარის წარმოება დაასრულა.

ავტომობილის უნიკალურობას სწორედ ეს გარემოება განაპირობებს. მისი შეფერილობაც კი სპეციალურად ამ ეგზემპლარისთვის შეიქმნა. ეს უკანასკნელი Bugatti Chiron-ის Profilee-ს სხვა მოდელებისაგან დიზაინითაც განსხვავდება. გარდა ამისა, Profilee ყველაზე სწრაფად აჩქარებადი Chiron-იც გახლავთ. ავტომობილს 0-დან 100-მდე აჩქარებისათვის მხოლოდ 2.3 წამი სჭირდება. რაც შეეხება მაქსიმალურ სიჩქარეს, ის ელექტრონულად შეზღუდული და 380 კმ/სთ-ის შეადგენს.



**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
 ტელეფონის ნომერი №170

**მთავარი რედაქტორი**  
**საბრტაძე ძორაშვილი**  
 599 36-00-35

**მთავარი რედაქტორის მოადგილე**  
**მამუკა ვაშაძიძე**  
 597-22-07-04

**ტექნიკური რედაქტორი**  
**პახაძე ძორაშვილი**

**პასუხისმგებელი რედაქტორები:**  
**გურამ გომიშვილი**  
 599 53-76-16;  
**ალექსი ასლანიშვილი**  
 599 56-81-86;

**გამომცემლობა:**  
 შპს 100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“  
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 36-00-35  
 შპს „თანადგობა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 იკავებდა სტამბა „ქოლორი“  
 ქ. პაღლაშვილის №3

**კოდონი**  
 ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

2 009882 616932

**ავტორთა სახსრად დამატებით!**  
 რედაქციის მიერ შეუქმნითავე მასალაზე დამატებით ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, გულდასრულდეს მათთვის მისაღებია. რედაქციის პოზიციისა. ვაძტავის სიზუსტეზე პასუხს ატვირთავს ავტორი.

**გაზეთის მომსახურების ცენტრი**  
**გამოვა ოთხშაბათს, 8 თებერვალს**

**უსტორიული ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი	- 2.6441;	პირი	- 2.8913;
ბრიტანული პირი	სტერლინგი - 3.2411;		
100 რუბლი	- 3.7492;	თურქული ლირა	- 0.1405;
აზერბაიჯანული მანათი	- 1.5584;		
1000 სომხური დრამი	- 6.6790		

**აპრილი 6 თებერვლისთვის**

<b>ავტონავალი საპროექტი:</b>			
პირი	-	ლაშ	+3, ლაშ +7
მთიანი რაიონები	-	ლაშ	-10, ლაშ +1
<b>დასავლეთი საპროექტი:</b>			
პირი	-	ლაშ	+1, ლაშ +13
მთიანი რაიონები	-	ლაშ	-4, ლაშ +10
თბილისი	-	ლაშ	+1, ლაშ +5

**დაგვიკავით, მოგვწერით:**  
 ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35  
**ელ. ფოსტა: sakresp@top.ge**  
 და sakresp@mail.ru  
**ვებ-გვერდი: www.sakresp.ge**